კალენდარული წრის ცენტრი (6) მწკრივი,ოთხი ნიშანი.ბოლო მეოთხეს მნიშვნელობა (37).ძველი ზიქურათით თავი.მნიშვნელობა 10(1).მწკრივი თავის მხრივ იყოფა 4(3;1).წრე(3),ცენტრი (1).მნიშვნელობები 3(49) და 1(10).ერთად (4910).კარის(14) კაბალა (5).ერთად 4915(4910;5).დასაბამიდან (4915),ქრისტემდე (689) წელი.

სხვა მხრივ (3) ნიშნის კაბალა 6;7(16),9(27).ბრუნვის ნიშანი 10(37).ერთად:(679) და (10).ჯამი (689).(4) ჯგუფის მნიშვნელობა (688).ბრუნვის ნიშანი 1(10).ჯამი (689).

ზანზალაკი და ჯვარი,მისია კაცისა




სახლი ზანთა და ხეთთა ხარისა-სურათი ორი ნაწილია. ზედა და ქვედა. ორივე ნაწილი თავის მხრივ დაყოფილია (3) დანაყოფად. თითოეულ დანაყოფში (4) სვეტია. ერთად 34(3;4)ცი. ტბელის კაბალით ხარი. ქარაგმა ხარ;ცი. ცი(34) და (100). ძველი ზიქურათით (4)სი სახლი კაცისა. ორივე ნაწილი სამ-სამი სახლი. ზედა და ქვედა დანაყოფის სვეტების ოდენობა 24(12;12). იბერის ქარაგმით (ურ). ძველი ზიქურათით (55). ორივე მნიშვნელობა ერთად 1267(1212;55). თარიღი ხეთთა ხიზანისა. სურათის დიდი ფონი ხარია. ზედა და ქვედა დანაყოფი ორი ხარი. ძველი ზიქურათით ხი(60) სახლი ხარისა. ორი 120(60;60). მნიშვნელობა თითოეული სვეტისა (5). 120 (12\*2\*5). თითო დანაყოფის (4) სვეტი ქარაგმა სახლისა. თითოეული ნაწილის (3) დანაყოფი, იგივე სამი სახლი ხარისა. სახლი ზანთა და ხეთთა ხარისა: ზანთა: ასირია, სამარია, კავკასია. ხეთთა: ასირია, მესოპოტამია, ხეთა, კავკასია. ორი ხარის სახლი ძველი ზიქურათით (ვი)27. ცი(34). ერთად ცივი (3427).



ქართული ქარაგმით ქრისტემდე (3427). დასაბამიდან (2177) წელი. წარღვნამდე (1091). წარღვნა დასაბამიდან (3268). ქრისტემდე (2336)წ.

**წინა სურათის გრაფიკული გამოსახულება**



(ს);(ვე);(ტი)ორი ქარაგმით მნიშვნელობა 91(23;26;42).(12)ისა 1092(12\*91).სურათის ქვედა ნაწილის მარჯვენა მხარეს ცალკე მდგომი ფიგურა თავი ხარისა.ხეთთა ენას (თა) 10.თავი და სვეტი ერთად 1091(10;91).ნამრავლი (910).

(910) თარიღია ორი ხარის მოდგმის დასაწყისისა.იგივე იბერთა ერა.ქრისტემდე (910) წლით ადრე დაწყებულა შერწყმა ზანთა და ხეთთა სამეფოსა.ხეთთა მეფის უფლისწულს შეურთავს ზანთა მეფის ასული.(910) დასასრული ორი ხარის გზისა,დასაწყისი იბერთა ხარის ერისა.დასაბამიდან (4694)წ.

დასაბამიდან (2177)წ თარიღი ზანთა ხარის გზის დასაწყისისა.ასაკი ხარისა 2517(4694;2177)წ. (1092) ქარაგმა ზანთა მესამე სახლის ასაკისა.920(10\*92).ქრისტემდე (1830) წლით ადრე ზანთა კაცი ქართლოსი მოსულა კავკასიასა.ქრისტემდე (910) წლით ადრე დასრულდა ერა ზანთა კაცისა.სხვაობა 920(1830;910).ქრისტემდე (4694) და (3427).სხვაობა (1267).თარიღი ხეთთა ხიზანისა.(1091) ასაკი ზანთა ხარის პირველი სახლისა.(3268;2177).

ქართლოსის მოსვლა კავკასიასა დასაბამიდან (3774).ქრისტემდე (1830).ასაკი მეორე სახლისა 506 (3774;-3268).ზედა და ქვედა დანაყოფის სვეტების განლაგება ქარაგმა თარიღებისა.ზედა (2;2;2;6), ქვედა (3;1;4;4;). ზომის მიხედვით (3;9).48(22;26) და 75(31;44).ჯამი 6(123).კაბალა (58) და (48).ძველი ზიქურათით:თახი.ძველი აღრიცხვის კალენდარული დაყოფით:84(62;22) და 84(8;4). ასაკი იბერისა. ქართული ქარაგმით 2460 (5604;-3144).ქარაგმა: ურხი.ასაკი (84).კაბალა (66).

მეორე მნიშვნელობა 3378(5604;2226).კალენდარულად (33;78).ჯამი 111(11;100).ქარაგმა:ზანცი (ზანთა დრო).კაბალა 615(6;15).ასაკი ხეთთა მეორე სახლისა.

იბერის ქარაგმით 3334(5560;-2226). და 2416(5560;-3144).პირველი კალენდარულად (33;34).ტბელის კაბალით (ხან;ხარ).ჯამი (67).კაბალა (13).იბერის ქარაგმით (ირ).ტბელისა (მან).ერთად (ირ;მან).

მეორე მნიშვნელობა ორი ქარაგმით (ურ;ტახ).კაბალა (67).ძველი ზიქურათით 6142(მარჯვნიდან). ქართული ქარაგმით ქრისტეს შემდგომ 538(6142;5604).თარიღი ჯვრის მონასტერის ორი თარიღისა.ძველი ზიქურათით (438)ცი.და (100) წლის შემდეგ (538).ასაკი იბერისა 75(463;538).ქარაგმა მნიშვნელობისა (31;44).

(22;26)ის და (31;44)ის კაბალა 48(ხი).სახლი ხარისა.(33;44)ის ქარაგმა (ხან;ხი).ძველი ზიქურათით (ხი;ხან).2416(ურ;მარ) ასაკი წმინდა მარიამისა 75(31;44).ზედა დანაყოფის სვეტების განლაგება (2;2;2;6) ქარაგმა წმინდა მარიამის ასაკის დაყოფისა.ქრისტემდამდე 20(2),ასაკი ჯვარცმის შემდგომ 22(2;2).ასაკი მაცხოვრის ჯვარცმისა 6(33).

ქებად და დიდებად (4000) წლის ქარაგმა ახალი აღრიცხვის (573) წელი.ქრისტემდე 3427 (5604;-2177).დასაბამიდან 6177(5604;573).კალენდარული დაყოფით (61;77).პირველი ცივი(3427).მეორე იბერის ქარაგმით ჯვარცმა მაცხოვარისა 77(33;44).

(61;37) ჯამი 138(38;100).იგივე (38)ცი,დრო წმინდა ანდრიას ქადაგებისა.(573) წელი იბერის დაბადებიდან (110).გარდაცვალებიდან (26) წელი.110(10;100) ქარაგმა (ათ;ასი).სხვაობა 427(1000;-573).ქარაგმა იბერის თარიღებისა.537(437;110) დასრულება აია-სოფიას ტაძრისა.

527(427;ცი).თარიღი იუსტინიანე პირველისა.თარიღი იბერიელი პატრიკოსისა.

(573) და (31;44) ქარაგმა ორი თარიღისა.542(573;-31) და 529(573;-44). პირველი თარიღი კრეტას სკოლისა.მეორე თარიღი ახალი იბერიული ქარაგმისა.

(573) ასაკი პირველი იბერიული ნიშანისა 1262(573;-689).თარიღი ხეთთა მარცხისა.

2517 (3427;-910) ასაკი ზანთა ხარისა.ძველი ზიქურათით ქარაგმა:ვარ ზაქი.

## ზანთა კალენდარი



სურათი პირამიდა.ძირი (6) ფიგურა.მომდევნო ზევით იმავე ზომისა (5).(3)ე და (4)ე სტრიქონი (5) და (5) ერთნაირი ზომის ფიგურა.

ვერტიკალურად,ქვევიდან ზევით ფიგურათა ოდენობა სტრიქონების მიხედვით (6;5;5;5;).ერთად (6555). ზევიდან ქვევით (5556).დიდი ფიგურები ორი სტრიქონი რაოდენობა (6;5).ერთად (65).

რაოდენობის მიხედვით (5) ფიგურა (3) სტრიქონია. ზომა (2) სტრიქონისა პატარა (10) ფიგურა, დიდი (5).ერთად (105).ქვევიდან ზევით (510).ზედა სამი სტრიქონის ფიგურა 15(3\*5).ძირი (6).ერთად 615(6;15).ფიგურების ზომის მიხედვით (2) და (2) სტრიქონი.რაოდენობა (11) და (10).ერთად (1110). ზანთა ქარაგმის რიცხვი (6660).სხვაობა 105(6660;6555).დიდი ციკლი (1680 )წელი.პირველი იბერიული წარმართული კალენდარის ძირი ზანთა ქარაგმა ყოფილა.ნიშანი სამოცი.

ზანთა კალენდარი ადასტურებს ღრმა ასტროლოგიურ ცოდნას მზისა და მთვარის მოქცევის ციკლებისა.კალენდარი მთვარის მოქცევათა ციკლები.ზანური ცხრამეტი ნიშანი მთვარის ციკლი.მომდევნო ცხრა მზის მოქცევის სრული ციკლი.

ზანთა კალენდარით მთელი წელი ათი თანაბარი თვე ყოფილა.ერთ საბაზისო თვეს (30) დღე,პირ რქმევია.წელი ათი საბაზისო პირი ყოფილა.300(10\*30).დარჩენილი დღეები ნაწილდე-ბოდა:სამოცი და ხუთი.ზაფხულის დასაწყისი მარტის ბუნიობა.დასასრული სექტემბრის მზებუდობა.ერთი საბაზისო პირი ემატებოდა ზაფხულსა,ერთი ზამთარსა.დარჩენილი ხუთი დღე ემატებოდა ზაფხულსა.მთლიანად ზაფხულს ემატებოდა 35 დღე.ზამთარს 30.

ზაფხულის საბაზისო დღეების ოდენობას (35),ხე რქმევია.ზაფხულის (150) დღე (5)პირ და (1) ხე (35).ჯამი ზაფხულის დღეებისა (185).ზამთრის (5) საბაზისო პირს ერთი ემატებოდა. (6) პირი ყოფილა(180) დღე.

(ცი)ასი(100) დღე ზაფხულის ბუნიობა.პირველი (2) ხე(70) და პირ(30).შემდეგ (5) დღე,(3)ე თვის დასასრული.შემდეგ (10) დღე(რარ).ზაფხულის პირველი სამი თვე115(105;10).მომდევნო ორი თვე (2\*35)70.დღევანდელი კალენდარით ზაფხულის ბოლო დღე (21) სექტემბერი.ბოლო ორ თვეს რქმევია ვი(70).

ზამთრის პერიოდის (3)ე თვის (93)ე დღის მერე იწყებოდა ზამთრის ბუნიობა. დღევანდელი კალენდარით (22) დეკემბერი.ზამთრის ბუნიობა (5) დღე ყოფილა.ზამთრის სეზონის (98)ე დღეს სრულდებოდა ბუნიობა(დღ:26;12).მომდევნო (5) დღე (ჯი).ზამთრის (3)ე თვის დასასრული.დღევანდელი კალენდარით (31;12).




მომდევნო (4+5) დღეს ერთად ჩარჯი. ზამთრის (3)ე თვის დასრულება (92+5+5+9). დარჩენილი დღე-ების სახელი (ზოკ) 69(5;32;32;) პირდაპირი მნიშვნელობა ბოლო კვილი ხარისა.

ბოლოს დასასრული (1) დღე. დღევანდელი კალენდარით (20)მარტი. ამ დღეს ერქვა(აღ). წრის დასაწყისი და დასასრული.

ზანთა კალენდარი დღე-ღამეში 24,5 სთ ითვლიდა. საათების სხვაობა (4) წელიწადში 1 დღეს იძლეოდა. ყველა მეოთხე წელს ნამეტი დღე ემატებოდა ზამთრის დასაწყისს. ნამატ დღეს ზანთა კალენდარით ერქვა ვალი(ვა-ლი). ახალი კალენდარით: ნაკ(ლი). იგივე ნაკი.

მარცხენა მხარეს (21)ფიგურა, მარჯვნივ (3). კალენდარის დასაწყისი.




დასაწყისს. ნამატ დღეს ზანთა კალენდარით ერქვა ვალი(ვა-ლი). ახალი კალენდარით: ნაკ(ლი). იგივე ნაკი.  
 მარცხენა მხარეს (21)ფიგურა, მარჯვნივ (3).  
 კალენდარის დასაწყისი.  
 ძველი აღრიცხვით 312(3;12). ლას.

სურათი ერთგვარი თალია. ფიგურები კალენდარული საზომის პირობითი ერთეულებია. ყველა ფიგურის მნიშვნელობა (5). ქურუმთა ენით (ჯი). სტრიქონების მიხედვით ქვევიდან: 6\*ჯი, 5\*ჯი, 10\*ჯი და მარჯვნივ ცალკე მდგომი 3\*ჯი. მნიშვნელობა: 30; 25; 50 და 15. პატარა და დიდი ფიგურების მნიშვნელობები კალენდარულად 65(50:15) და 55(30:25). მნიშვნელობა (50)ძირი და (65) ველი. ქარაგმა: ძირი ძველია.

მარჯვენა სამი ფიგურა თავია ხარისა. მარცხენა (21), მარჯვენა (3) ერთად (24) ურ. თა(10). ტანი და თავის პირობითი მნიშვნელობა 31 (21;10). ტანი ზაქის ქარაგმით (59), თავი (10). ერთად (69).

თალის პირობითი სიმაღლე ვერტიკალური ძირი ორი სტრიქონი და თავი ორი სტრიქონი: 55 (30; 25), 50(25;25) და თა(10). ერთად (55:60). მნიშვნელობათა სხვაობა 105(6660;-6555) ქარაგმა ხუთასისა. 105 (5:100). მარჯვენა სამი ფიგურა ვერტიკალურად განაწილებულია. ქვედა ორი თავია დიდი სტრიქონების ტანისა, იგივე დიდი ხარისა. ზედა მესამე ერთი ფიგურა თავია ზედა ორის სტრიქონის (ტანი) პატარა ხარისა. სურათის დაყოფა ქარაგმა ორი ხარისა. ქარაგმა (ვი:თა). მნიშვნელობა (28) და (37). ქარაგმა თარიღებისა (528) და (537). თარიღი არიოპავიტული მოძღვრებისა და აია-სოფიას დასრულებისა.

სახელი არიოპავი ქარაგმა დიდი და პატარა ხარისა. არიო(60) ზანთა ხარი. (პა;ვი) ხეთთა პატარა ხარია. სურათი ქარაგმა აია-სოფიას თალისა.



ოთხი ვერტიკალური თალის დიამეტრი (31). სიმაღლე(55,60). თალის თავს (5) სარკმელი. (3) ფიგურა ძველი ზიქურათით თას(თა კაცისა).

(4) თალის ვერტიკალური სვეტები და სარკმელები (პირ), იგივე დიდი დარბაზის პირზე. კიდევ ერთი დარბაზული კარი. მნიშვნელობა (132). თალის სიმაღლე ოთხი პირობითი ჰორიზონტალური სტრიქონი. ზედა ორი სტრიქონის სარკმელი(60). ქვედა პირველი ორი სტრიქონისა 10(6;4).

ქვედა ორი სტრიქონის ფიგურათა მნიშვნელობები(ერთეული) (72). აქედან (10) სარკმელი. კარი(14) სვეტი (48). ძირის ზედა მეორე სტრიქონის სვეტი (32), პირველი (16).

სურ:(132)ქარაგმაა წრისა. მარცხნიდან მარჯვნივ ზედა: 1(10); 3 და (11). ერთად (411). მეორე 132 (1; 3; 2). ხუთეულის მნიშვნელობა 6(105) და (3). ერთად (63). ორივე თარიღია პეტრე იბერისა. (10) თავია. (1) ას(კაცი). (105) ქარაგმა (500). სურათის (1) ასი. ხუთი (3; 2). ქარაგმა: (532). ძლევაი საკვირველი პეტრე

იბერისა.(32) და (1) ქარაგმაა ცერისა(33).ცერი ხელია კაცისა.(311) და (312) ქარაგმა იულიუსის კალენდარისა.

**ძველი ზიქურათი ურისა-მთლიანი სურათი გზებით გამოსახული ხარი.გზების კიდურები ორი ხარი.შუაში მოქცეული ორი ქართული ნიშანი (ხან).სივრძე პირობით გამოყოფამდეა ჩასული.შუა ორი ხარი იგივე ორი ფეხია ზაქისა.(ხან)ის მოხაზულობა ერთგვარი ქარაგმაა.(ხ)ს ფეხი,(ა),(ე) და (0)ნული.სურათია მარჯვნივ ერთგვარი ისარი მიმანიშნებელი მიმართულებისა.სურათი ქარაგმა ხარის გზისა. მარჯვნიდან მარცხნივ მიმართულება ქარაგმა ძველი ზიქურათისა.მარჯვენა მხარეს პირველი (ხან) შებრუნებულია.ქარაგმა ძველი აღრიცხვისა:მარჯვნიდან მარცხნივ.ფორმა ქართული მ(ან). გზა მიმართული მარცხნივ,ბოლოს,პატარა ტანის (ხა)ნ.იბერის ქარაგმით (ა)არ.გზა (მ-ხარ) ხან მხარია ხარისა.(ხან)ტბელის კაბალით სახლი კაცისა და ხარისა.მარცხნიდან მარჯვნივ გზა ორი ხარისა:ხ-მა(ნ).**

**სურ:133**




(ხაე) ძველი ზიქურათით (ხი)60 და (ე)5.ჯამი (65).ოთხი ხარი 260(200;60).ქარაგმა ორი კაცი და ხარი.ხეთთა ზიქურათით დიდი ხარი (გი).ოთხი (გი) ტბელის კაბალით 52(4\*13).


ორი დიდი ხარისა და ორი პატარის ქარაგმა 140(100:40).მნიშვნელობა (ას:რი).ხანის რიგითი ნომერი (33).ოთხი ხარი 132(100:32).ტბელის კაბალით (ა:ჭარ).ძველი ზიქურათით (ალ:ბოკ).ალ ზეციური სახლი ხარისა.(ხა)და (ე) ქარაგმაა ხარის ხელისა.(ე) იბერის ქარაგმით (ელ).ქარაგმა ზეციური ხელი ხარისა.ა(ლ) სახლია (ხა),ხელი (ელ).ქარაგმა (ელ:ბოკ)

მარჯვენა მხარე,პირველი და მეორე (ხან)ის შუა.წრე,(6) თანაბარი ფრთით.ქარაგმა გორგალისა.

შუამდინარეთის ურის მორიგი ქარაგმული სურათი გორგალისა:



ძველი ზიქურათით ორ(41).(ალ)1.ერთად (411).მნიშვნელობა გორგალისა(61).(ორ)ის ქარაგმა (2).





ტბელის კაბალით 2(ბ). (13)ის კაბალა (4). (გ;გ;ი)ს რიცხვი (19)რ. კაბალის რიცხვი 10(1)ა. (ბალა).

ბ      ბ      ო

3      3      13

17(3;1;13)პ. ქარაგმა: პალია, სოფელი პეტრე იბერისა. ი(13) კალენდარული გამყოფი. მარჯვნიდან მარცხნივ ზედა და ქვედა ჰორიზონტალური მწკრივი (1;2) და (3;3). ერთად (1233) თარიღი ტბელის კაბალის დასრულებებისა. კაბალა (3;3;3;) ნახევარი ქართული კალენდარული წრისა. ქვედა მწკრივის კაბალა ძველი აღრიცხვით (433). თარიღი არიოზის მოძღვრებისა. ტბელის კაბალით (ი)10(1). (გორ)-(გალი)4. ერთად (34) ხარ. მნიშვნელობა 5(3;2) და 32(3;1,1). ერთად (532). თარიღი მონოფიზიტთა მოძღვრების დამარცხებისა.

3      3      1

გორგალის (6) ფრთა ქარაგმა. ზაქის ქარაგმით (ფრთა)59. ნამრავლი 354(6\*59).

გორგალის ფრთებს შუა (ღარ). ტბელის კაბალით (44). ექვსი ღარ (264). 6(ფრთა+ღარ). იგივე 6(59:44). წრე ფრთა და ღარი ერთად 679 (61; 354;264). (ხა)34(ხარ). ძველი ზიქურათით ცი(100). 4(ხა)400. ოთხი ხა და გორგალი 1079(679:400). თარიღი ზაქის ქარაგმისა.

(ღარ) სადინარი, იგივე საზიდარი წყლისა, იბერთა ქარაგმით (რუ). წრეს მნიშვნელობა (10)თა. ძველი ზიქურათით (მთა), ქარაგმა თავისა. (6) ფრთის მნიშვნელობა (354). კალენდარული წელი მთვარისა. ფრთა და ღარი ქარაგმა მთვარის ორი თვისა: 59(29;30). გორგალის ქარაგმა თა(მთა) მთვარისა. ღარისა და წრის ქარაგმა (ღარ:თავი) იგივე (რუ:თავი). (რუ) პირველი იბერიული ქარაგმით (22). ექვსი\* (რუ)ს ჯამი (132). გორგალი: (წრე; 6\*ფრთა; 6\*რუ). მნიშვნელობა: 547 (61;354;132). თარიღი წმინდა მამის ზეცად ამალე-ბისა. (წრე) ზაქის ქარაგმით (34;22;5). კაბალა (7;4;5). ძველი ზიქურათით (547). თარიღი იბერისა. (წრე) ტბელის კაბალით (31;19;5). (რე) იგივე (ერ)ია. ქარაგმა დაყოფისა: (31) და (19;5). თარიღი ქორო-ნიკონისა: 780(4\*195). სვეტების ოდენობა ზანთა კალენდარის სურათისა, (195) სვეტი. ოთხი (ხა)რის ხაზის ქარაგმა გზა ახალი იბერიული ანბანისა. პირველი (ხა)ს მიმართულება შებრუნებულია, მარჯვნიდან მარცხნივ, მომდევნო სამის მიმართულება მარცხნიდან მარჯვნივ. მარჯვენა (ხა)ს შებრუნება ემსაგავსება ქართული ანბანის ორ ნიშანს: (მ)ს და (ძ)ს.

(ხა)ს ძირი აღმოსავლეთით,მარჯვენა მხარეს პირი გაღებული.ქარაგმა მიმართულებისა,რიგი-  
თობისა და (ე).(მე)ტბელის კაბალით (13,1,5).კაბალა (415) და (514).(აე)ს მიმართულება აღმოსავ-  
ლეთი (მ) დასავლეთი.ქარაგმა დაყოფისა (13:15).ჯამი (28) ქურუმი იბერის ქარაგმისა.(მე) ტბელის  
კაბალით (13)და (6).(19) იბერის ქარაგმით (ზა) ზაქია.

(მან)ის იგივე შებრუნებული (ხა)ს ფეხის შიგნით შავი ფონით (ლ)ა-სია.მიმართულება ახალი იბე-  
რიული ანბანისა.(19) ტბელის კაბალით (რ).კაბალა (10)ი.(რი) რიტორი.(ზა) ძველი ზიქურათით  
(აზ).ქარაგმა:ზაქ.ა(რ),ი(ა),რიტორი,ლ(აზ)ია.(მა) ხეთთა მამაა.ზაქარია ლაზი მამა პეტრე იბერი-  
ელისა.(ხა) მარჯვენა (მ)ირია.ძველი ანბანის მიმართულება მარჯვნიდან მარცხნივ.

ორი დიდი ხარი ქარაგმა ორი ძირისა:იბერის ასომთავრული და ზაქის ქართული ანბანი.დასა-  
წყისი (ხა) ზაქარია ლაზი,დასასრული (ხან) რუსთველი. (ე)ს ქარაგმა ხუთი (5).ზედა და ქვედა ორ-  
ორი (ე),იგივე (5;5) და (5;5).ქარაგმა (10) თა,55(ურ).მთა ურისა.

მარცხენა ბოლო (ხა) ტბელია.(ხ)ან.მომდევნო მარჯვნივ (ხა) ხაზი, ზურგი ზაქისა.ზაქი ხარი იბე-  
რისა,ზურგი ზაქისა.(ხა)ს ზურგი ასომთავრული (7)ირ.მომდევნო (ხა) იბერთა დიდი ხარი, პეტრე  
იბერი.მარჯვენა პირველი,დასაწყისი (ხა) შებრუნებული ქართული (მ).ზაქის ქარაგმით (16).ძველი  
ზიქურათით (ტ)ახ.იგივე შებრუნებული (ხა).ერთად ოთხივე (ხა) ახალი მიმართულებით:ხ(ხა),  
ირ(7),ხა(თ),ტ(ირ).ქარაგმა:თა ხირ;ხა;ტი.(ირ) იბერის ქარაგმით (35) ხელია.

მარცხენა სამი (ხა)ზედა ხაზითა და ზურგით ქმნის ასომთავრულ (ზ)ზარ.იბერთა ხარი,ზაქი.  
იბერის ქარაგმით (7)ე ნიშანი.სამი\*ხა(7) ერთად (21).მხედრული ქარაგმის ტ(არ).მეოთხე (ხა) შებრუ-  
ნებული (მ) და ფეხი (ე).ერთად მე(16;5).იგივე (21)ტ(არ).

სამი (ხა)21,მეოთხე ხა(მე)21.ჯამი (42).ზაქის ქარაგმით (ელ).ოთხი ფეხი ოთხივე ხარისა 4\*5(ე)20.  
ტბელის კაბალით (ს)ან.კაბალა (2)ზ. ერთად მარჯვნიდან მარცხნივ:(ტ)21,(ზ)2,ელ(42).

ბ	ა	გ	ი	რ	ო	გ	ო	რ	გ	ა	ლ	ი				
2	1	3	1	19	10	3	16	19	3	1	12	10				
<table style="margin: auto; border-collapse: collapse;"> <tr> <td style="border-top: 1px solid black; border-bottom: 1px solid black; padding: 0 5px;">დ</td> <td style="border-top: 1px solid black; border-bottom: 1px solid black; padding: 0 5px;">ა</td> </tr> <tr> <td style="border-top: 1px solid black; border-bottom: 1px solid black; padding: 0 5px;">4</td> <td style="border-top: 1px solid black; border-bottom: 1px solid black; padding: 0 5px;">1</td> </tr> </table>						დ	ა	4	1							
დ	ა															
4	1															
<b>100</b>																

**ხამუშ (შუმერთა ხარი) გორგალი და ბაგირი სურ:134**



ბაგირი ჭაპანი (4) ხარისა.სურათის რიცხვი 105(5;100).ხარის რიცხვი ძველი ქარაგმით (103).რიცხვი  
(4) ხარისა (412).ქორონიკონით (1192).ორივე მნიშვნელობის ჯამი 512(412;100).დიდი წრე ტბელის  
კაბალისა.წრე და ფრთები გორგალისა 16(10;6).ქარაგმა (თა;ვ).ჯამი 528(512;16).ჩარ(4);(ხი).ფეხი  
ქარაგმული დიდი და მცირე ხარის ფეხი 4\*(ე)5.იგივე 20(10;10).ქარაგმა თარიღებისა:(522) და (532).

35.ბასილი დიდი

იოანე ზოსიმეს მოუსურვებია დიდი მოძღვარის სახელი ქართულ ეკლესიას ჩაერიცხა წმინდანთა დასსა.არ დასცლია მალევე მომკვდარა.მისი ხელნაწერები მიუგნია რუსთველსა. მოუხერხებია წმინდანად შერაცხვა პეტრე იბერიელისა,ვითა ბასილი დიდისა.

იოანე ზოსიმეს მოწაფეთა აუგიათ ეკლესია წმინდა მამის სახელისა.

რუსთველმა იბერს ბასილი ასკანელი,სოფელს ასკანა ხოლო ეკლესიის ადგილს ბასილეთი უწოდა.

ზოსიმე და რუსთველი შემთხვევით არ შეარჩევდნენ სახელებს.

ბასილი დიდი,სახელი ქარაგმულად შეუდგენია ზაქსა.ტექსტი ორი სიტყვა.სტრუქტურა(6) და (4). დავითის ანბანში (ირ)(13)ე.წარმართული კალენდარით ციკლის დასასრული.მას თოთი ერქვა. თოთი=(10+19+10+13)=52.ირ იგივე კალენდარული ბრუნვის ნიშანი.ბრუნვისა და წონასწორობის ნიშნებს ქურუმნი იყენებენ ტექსტისა და სხვა მნიშვნელობათა დასაყოფად.იგივე მეთოდია ტექსტში.

ბ ა ს (ო) ლ (ო) - დ (ო) დ (ო)

3 (1) 1 (1) - 1 (1) 1 (1)

3	1	1	1	1	1
ბ	ა	ს	ო	ლ	ო
6			4		

ტექსტი დაყოფილია სიტყვათა შემადგენელი ნიშნების ოდენობისა და (ირ) გამყოფით.ორი ცხრილი.პირველი მნიშვნელობა:ძველი კალენდარი მარჯვნიდან მარცხნივ პირველი:411(4;1;1) და 463 (4;6;3).თარიღი პეტრე იბერისა.მარცხნიდან მარჯვნივ წრე:364(3;6;4)და 3(1;1;1);ჯამი (367).ქართული აღრიცხვით თარიღი პეტრე იბერისა:463(367;96).დაყოფა მარჯვენა ნაწილისა 22(2;2) და მარცხენა (2;1);(2;3);(1).ქარაგმა თვისა.იბერის ქარაგმით წლის დასაწყისი (22) თებერვალი,იგივე პირველი თვე.დაბადების თარიღი (23).მეორე თვე იბერის ქარაგმისა (2) და პირველი ზაქის ქარაგმისა (23) ვერძი (1).

ნიშანთა დანაყოფები:10(4;6).და 31(3;1).ერთად (1031) ზოსიმეს თარიღი.პირველი ცხრილი:(3;1;1) და (1;1;1;1;1).ჯამი:(5;5).ერთად (55).იბერის ქარაგმის კალენდარული სტრუქტურა.

ცხრილების დანაყოფები კალენდარული ბრუნვით მარჯვნიდან მარცხნივ:(4,6) და (3,7\*.ერთად (46) და(37).ჯამი:(46+37)=83.კალენდარული ბრუნვის ნიშანი ელი=1(55,10).მთლიანი ჯამი:(83;1)84. მიმართულეა პირიქით მარცხნიდან მარჯვნივ:(7\*1,3) და(6,4).ერთად:(73) და (10).ჯამი:(73;10)83. ბრუნვის ნიშანი ელი=1(55,10).ჯამი:(74;10)84.პეტრე იბერის ასაკი.

პირველი ცხრილი:(3,1) და (6\*1).ერთად.(31) და (6.)ორივე მნიშვნელობა:(316)ია.მირიან მეფის მიერ პირველი იბერიული ანბანის რეფორმირების თარიღია.

ტექსტის ნიშანთა რიცხვითი მნიშვნელობების ჯამები:

6	4
ბ ა ს	ო ლ
2 1 23	4 4
8	6 4 4

ტექსტის სტრუქტურა სიტყვათა ნიშნების მიხედვით.(6) და (4).ერთად (64)-ია.ნიშანთა გამარტივებული მნიშვნელობები დაჯგუფებული (ირ) ბრუნვის ნიშანის გამოყენებით ქარაგმა (64)ე წელი ქორონიკონით.ქრისტეშობიდან:(780+64)844.დასაბამიდან:6448(5604+844).სამივე მნიშვნელობა მო-

ცემულია (3)ე ცხრილში.(844) წელი ანბანის მეორედ რეფორმის წელი.(6) იგივე დავითის ანბანის (42)ე ნიშანი,იგივე კალენდარული ბრუნვის ნიშანი.

რუსთველის მიერ დარქმეული ასკანა,ბასილეთი და ბასილი ასკანელი.ცხადია სახელის შერჩევისას გვერდს ვერ აუვლიდა წმინდა ბასილი დიდის სახელს.ახალი სახელის შერჩევით არ უნდა დაკარგულიყო ძველი.

ბ	ა	ს	ო	ლ	ო	დ	ო	დ	ო
2	1	20	10	12	10	4	10	4	10

პოეტმა ასეთი ხერხი გამოიყენა.იბერის ქარაგმით (ირ) იგივე ბრუნვის ნიშანი ელია.ტექსტის დასასრული (ი) ახალი კალენდარული ბრუნვის ნიშანი.ამიტომ ტექსტის ბოლოში განათავსა ელი

ბ	ა	ს	ო	ლ	ო	დ	ო	დ	ო
2	1	20	10	12	10	4	10	4	10
23			10	12	10	4	10	4	10
5			1	3	1	4	1	4	1

ძველი ანბანის რიცხვით მნიშვნელობებს შეუსაბამა ახალი ანბანის რიგითი ნომრის ნიშანი. გამოყოფების გარეშე (8) ნიშანი.რიცხვი ზაქის ქარაგმით 43(23;12;4;4).ნიშანი იბერის ქარაგმისა.

(ბას)2 და ოთხი გამოყოფი (40).ერთად (42) ნიშანი ზაქის ქარაგმისა.

რეფორმის შედეგად დავითის ანბანიდან (6) ნიშანი ამოულია ტბელსა.სამი თ(10)მდე და სამი შემდგომ.(10)ის შემდგომ ყველა ნიშანის რიგითი ნომერი(-3)-ით შეიცვალა. ს(23)=(20).(12)ე ნიშანის რიგითი ნომერი(12-3)=9.10+9=19(რ).1(10)+4+4=9(თ). (20+1)21(ტ).2+1=3(გ).(10+10)20(ს).(20+1+2)23(ფ). (12+4)16(ო) (20+12+1(10))=33(ხ).(20+10+1)31(წ)

ბ	ა	ს	ო	ლ	ო	დ	ო	დ	ო
2	1	20	10	12	10	4	10	4	10
ბ	ფ	ს	ო	ლ	3	დ	ო	დ	ს
ბ	ე	ს	ო	ლ	ო	დ	ო	დ	ე

ზაქის ქარაგმით:

ბ	ა	ს	ო	ლ	ო	დ	ო	დ	ო
2	1	23	13	15	13	4	13	4	13
ბ	რ	ს	ო	ლ	ნ	დ	ო	დ	ო
ბ	პ	ს	ო	ლ	ო	დ	ო	დ	ო

რუსთველმა ბრწყინვალედ შეძლო წმინდა ბასილი დიდის ბიოგრაფიის შევსება.

შედეგი:ბასილი დიდი დიონისე არიოპაგელი.იგივე ბასილი ასკანელი.ბასილეთის ეკლესია ბასილი დიდის სახელისა.

ასკანა სოფელი პალაია.პალაია იგივე პატარაა.ბასკები იბერიელნი.თრაკიელნი ინდონი არიან.ეს წელი:ასი ათი და ერთი.ხარებას აიგო.ანუ 1111 წლის ხარება.

იგივე თარიღს ადასტურებს:(64+37+10)(ელი)=111.ნიშანთა რიცხვითი მნიშვნელობების ჯამი:(101). ბრუნვის ნიშანი ელი=10(55). ჯამი: (111).პარება სოფელია პარეხელისა.პეტრიწი პეტრიწონელი.

### ხარეხი



ლაგოდების გრძელი ტბის აღმოსავლეთით პატარა ტბა.ქარაგმა ხარფუხისა:ფუხი ფური ხარისა. ხარის თავი მარჯვენა,აღმოსავლეთით,ფეხის მიმართულება დასავლით. ფეხი ძველი ზიქურათით ქარაგმა ქალისა.დასავლით სახლი ქალისა.

### 36. ბალატუნუსის ბილინგვა

აკადემიკოსი **ზაზა ალექსიძე** წერდა: სირიაში, ბიზანტიურ ციხე-ქალაქ ბალატუნუსის ერთერთი ბურჯის ნანგრევებში 2008 წელს აღმოჩნდა ორენოვანი (ბერძნულ-ქართული) წარწერა, რომელიც ამჟამად ინახება სირიის მთავარი საპორტო ქალაქის ლატაკიის (ლაოდისკეა) მუზეუმში. 2009 წლის ბოლოს წარწერა სათანადო გამოკვლევით ჩემი მეგობრისა და კოლეგის, საფრანგეთის ინსტიტუტის (წარწერებისა და ბელლუეტრის აკადემია) წევრის, ჟან-პიერ მეს საშუალებით გადმომიგზავნა მაშინ ახლო აღმოსავლეთის (დამასკოს) ფრანგული ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელმა ჟულიენ ალიკომ... აინტერესებდა ბილინგვის ქართული წარწერის შინაარსი, რომლის ამოკითხვა პარიზში ვერ მოხერხდა. ქვის (ქვიშაქვა) ზომებია 57X162X21.

ბერძნული წარწერის ფრანგული თარგმანი ქართულად: «ეს ღრთივხსნილი კასტრონი, რომელიც უკეთილშობილესმა კატეპანმა ნიკეტასმა, პატრიკოსმა და ანტიოქიის რექტორმა, ხელიდან გამოსტაცა მტრულ ბარბაროსებს ქრისტესმოყვარული რომანოსისა და ზოიას მმართველობის დროს და რომელიც დაარსებულ (ან დაფინანსებულ) იქნა სპანტაგულე ტეპელის, პატრიკოსისა და ლაოდისკეის სტრატეგოსის მიერ, გასრულდა ივნისის თვეში, ინდიქტიონს 14, (6539) წელს სამყაროს შექმნიდან». იგულისხმება რომაული წელთაღრიცხვის 1031 წელი (6539-5508)=1031.

#### **ბერძნული ტექსტის ბიზანტიური ტრანსკრიპცია**

კიდევ ერთი, რაც აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული XI ს-ის ბერძნული ტექსტის წაკითხვისას, ეს არის ბიზანტიური ბერძნული წარმოთქმა. განსაკუთრებით, როცა ეს ეხება ონომასტიკასა და ანთროპონიმებს, მით უფრო, თუ ეს ონომასტიკა და ანთროპონიმები არ არის ბერძნულენოვანი და საჭიროებს იდენტიფიკაციას.

ბიზანტიური ბერძნულის და ქართული ენის ფონეტიკური თავისებურებების გათვალისწინებით ქართულად შესაძლებელია გადმოიცეს ასეთი ფორმებით: სპანტალუდ-ი, სპანდალუდ-ი, სპანტალუტ-ი, სპანდალუტ-ი (შდრ. αραπ>ალაპი)1. გარდა ამისა, სპანტაგოლუდ არ არის ჩასმული ნათესაობით ბრუნვაში, როგორც ამას მოითხოვს მის წინ მდგარი პარა; წინდებული. ამ ფუნქციას მისთვის ასრულებს გენეტივში დაყენებული მისი მსაზღვრელი ტიტულატურა პატრი[კ]ივოლუ კაი; [სტრატკვოლუ]. სპანტაგოლუდ ქართულად მე გადმოვეცი „სპანტალუდ-ი“ ფორმით, როგორც ეს მოსალოდნელი იყო ქართულისათვის (სახელობითი ბრუნვა). ჩემი აზრით, ამის საფუძველს იძლევა ბიზანტიურ ბერძნულში კ-ს „ი“-თ წაკითხვის ტრადიცია.

ასევე, სპანტალუდის მამის სახელი „ტეპელი“-ს პირველი მარცვლის η (ეტა) უნდა წავიკითხოთ „ი“-დ (შდრ. ზემოთ სპანდალუდ-ი): „ტიპელი“. ასე უფრო გასაგები გახდება, საიდან გაჩნდა ბერძნულში ტპ//ტბ თანხმოვნებს შორის „ი“ ხმოვანი (შდრ. სომხ. თრდატ > ბერძნ. ტირიდატეს2). ვინაიდან ბიზანტიურ ბერძნულში β „ბეტა“ აღარ გადმოსცემს „ზ“-ს და იკითხება როგორც „ვ“, ბუნებრივია, რომ „ზ“-ს აღსანიშნავად გამოყენებულია Ϸ, (შდრ. ბაგრატ//პანკრატჷ, „ბაკუ-რიან“//„პაკურიან“). „ტეპელი“//„ტიპელი“, რა თქმა უნდა, ბიზანტიური გამოთქმის ქართული ანთროპონიმისა „ტბელი“: ბპ, აგრეთვე, ორ თანხმოვანს შორის გაჩენილი „ი“ (შდრ. ტფილის>ტიფლის). საყურადღებოა, რომ სომხურ საისტორიო მწერლობაშიც (სტეფანოს ორბელიანი, გვ. 355) ივანე ტბელის სახელი ამ ფორმით გვხვდება: Իվան Կպէլ.

#### **ქართული წარწერა**

ამის შემდეგ უკვე შეგვიძლია გადავიდეთ ბალატუნუსის ორენოვანი წარწერის ქართულ ნაწილზე. ქართული წარწერა შესრულებულია შედარებით ღრმად ამოკვეთილი, საკმაოდ ლამაზი, საგანგებო საჭრეთელით შეიარაღებული, გამოცდილი ხელით, მრგვლოვანი ასომთავრულით. სიტყვათა უმრავლესობა დაქარაგმებულია. სიტყვათა შორის განკვეთილობის ნიშნად გამოყენებულია ერთი წერტილი. პალეოგრაფიულად იგი, ბუნებრივია, XI საუკუნით თარიღდება. ტექსტის მარჯვენა ნაწილი (მაყურებლიდან) მნიშვნელოვნად არის დაზიანებული (შესაძლოა ატმოსფერული ზეგავ-



ლენით), თუმცა იკითხება, ხოლო ერთგან ამოტეხილია, რამაც რამდენიმე გრაფემა შეიწირა. ვინაიდან ქვის მარცხენა ნაწილი ჩამოტეხილია, ამასთანავე ქართული წარწერის მეორე სტრიქონის პირველი ოთხი გრაფემა გადარეცხილია, აღდგენის, ქარაგმების გახსნისა, სიტყვათა დაშორი-შორების გარეშე და განკვეთილობის ნიშნებით (როგორც ეს ტექსტშია) იგი ასე იკითხება:

ესე. ვითა. ზ~მო. ბ~რძლდ. სწ~რია

--- [ს]. ძ~მნ. ა~ვე. ე. ც~ხე. ესე. შ~წვ. . . . ღ~თსათა

ესე. ვითა. ზ~მო. ბ~რძლდ. სწ~რია

--- ს. ძ~მნ. ავ~ე. ე. ციხე. ესე. შ~წვ. . . . ღ~თსათა

თანამედროვე ქართული დამწერლობით, ქარაგმების გახსნითა და სიტყვათა შორის ინტერვალის დაცვით წარწერა ასეთ სახეს მიიღებს:

ესე, ვითა ზ(ე)მო ბ(ე)რძ(უ)ლ(ა)დ სწ(ე)რია,

---ს ძ(ე)მ(ა)ნ ავ(ა)გ(ე) ე. ციხე ესე შ(ე)წ(ე)ვ... ღ(მრ)თ(ი)სათა.

ვცადოთ ახლა ბალატუნის ქართული წარწერის აღდგენა ბერძნული წარწერების მონაცემების გამოყენებით. ბატონი ალიკოს შენიშვნით ქვას მარცხენა მხარეს მნიშვნელოვანი ნაწილი აქვს ჩამოტეხილი, სადაც დაახლოებით თორმეტი ბერძნული გრაფემა დაეტეოდა. ქართული გრაფემები, რომ ბერძნულთან შედარებით ვიწროა, ამასთანავე მასში თითქმის ყველა სიტყვა დაქარაგმებულია, ერთი შეხედვითაც ცხადია. ისიც ცხადია, რომ დაახლოებით ოთხი გრაფემის ფარგლებში, ჩამოტეხილამდე, ქართული წარწერის მეორე სტრიქონის ნაწილი გადარეცხილია. ამიტომ მარცხნივ აღსადგენი, ჩემი აზრით, ოცამდე ქართული გრაფემა უნდა იყოს. ამიტომ მთლიანად ქართულ წარწერას ასე აღვადგენდი:

ესე ვითა ზ(ე)მო ბ(ე)რძ(უ)ლ(ა)დ სწ(ე)რია, [მე, პ(ა)ტრ(ი)კმ(ა)ნ სპ(ა)ნტ(ა)ლ(უ)დ ტბ(ე)ლ(ი)]ს ძ(ე)მ(ა)ნ, ავ(ა)გ(ე)ნ ესე ციხე შ(ე)წ(ე)ვ[ნითა] ღ(მრ)თ(ი)სათა.

ვარ. [მე, პ(ა)ტრ(ი)კმ(ა)ნ და ლ(ა)ოლ(ი)კს სტრ(ა)ტე(გ)მ(ა)ნ, სპ(ა)ნტ(ა)ლ(უ)დ ტბ(ე)ლ(ი)]. . .

სპანტალუდის ტიტულატურის მთლიანად აღდგენა ვერ ხერხდება, ვინაიდან ჩამოტეხილ ნაწილში არ არის ამისათვის საკმარისი ადგილი. ქართული წარწერა ბერძნულზე უფრო მოკლეა და ტიტულატურა შესაძლოა არც იყო (ან სრულად არ იყო) მასში შეტანილი.

ბერძნული წარწერისაგან განსხვავებით ქართული წარწერა აზუსტებს, რომ სპანტალუდმა ბალატუნუსის კასტრონში ხუთი ციხე ააგო (აღადგინა). როგორც ჩანს, სპანტალუდ ტბელის ძე აჭარბებს და ხუთ ციხეში ბალატუნუსის კასტრონის ხუთ ბურჯს გულისხმობს. მართლაც, ბალატუნუსი ხუთი ბურჯით (ციტადელი) იყო გამაგრებული. შესაძლოა, ერთერთი მათგანი არის სწორედ ის, სადაც 2008 წელს ორენოვანი წარწერა აღმოჩნდა.

როგორც ზემოთაც ითქვა, ბერძნული წარწერის კეკტისქენ ქართული წარწერის ანალოგიით, უმჯობესია ითარგმნოს “აგებულ იქნა”/“აშენებულ იქნა” შესიტყვებით. აქვე მინდა ხაზი გავუსვა, რომ ქართული ეპიგრაფიკა (არა მარტო ქართული) ტერმინ “აშენებას” არ ანსხვავებს “აღდგენისაგან” (რესტავრაცია).

როგორც ჩანს, ორენოვანი წარწერა შესრულებულია სპანტალუდის დაკვეთით და ბერძნულ წარწერაში მოცემული თარიღი აღნიშნავს ციხეების აღდგენის თარიღს (ამიტომ არ არის თვის ზუსტი რიცხვი დასახელებული) და არა კასტრონის აღებისა ნიკიტა კატეპანის მიერ (მაშინ ზუსტი თარიღი იქნებოდა).

როგორც წარწერიდან დავინახეთ, სპანტალუდი ატარებდა პატრიკიოსის ტიტულს და იყო ლაოდის სტრატეგოსი. პატრიკიოსი (მომდინარეობს ლათ. პატრიციუსისგან) ბიზანტიის იმპერიის კარზე უმაღლესი რანგის ჩინია, რომელიც შემოიღო კონსტანტინე დიდმა როგორც საპატიო, ადმინისტრაციული ფუნქციის გარეშე. იუსტინიანე I-ის დროს ეს ტიტული შეეძლო მოეპოვებინა იმპერიის ყველა წარჩინებულს დამსახურების მიხედვით. VIII-X სს-ში პატრიკიოსის ტიტული ავტომატურად ენიჭებოდათ იმპერიის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი რეგიონების განმგებლებსა

და სარდლებს.<sup>4</sup> სწორედ ასეთი იყო სტრატეგოსი, რომელიც აღნიშნავდა რომელიმე მნიშვნელოვანი რეგიონის სარდალს, ხოლო სანაპირო ზოლში – ადმირალსაც. XI ს-ისათვის სტრატეგოსი იყო თემის სამხედრო მმართველი, რომელიც ითავსებდა საფინანსო და იურიდიულ ადმინისტრაციას.<sup>5</sup>

ლაოდიკეა იყო საზღვაო პორტი ჩრდილო სირიაში და სირიის ყველაზე უფრო მდიდარი ქალაქი, რომელიც 968 წელს ფოკა კეისარმა დაიბრუნა არაბებისაგან. სპანტალუდი ატარებდა პატრიკიოსის ტიტულს და იყო ლაოდიკეის თემის განმგებელი და სარდალი (ადმირალი). მართალია, XI ს-ში პატრიკიოსობა აღარ იყო ისეთი მნიშვნელოვანი ჩინი, როგორც გვიან ანტიკურ ხანაში, მაგრამ სპანტალუდი მას ფლობდა სწორედ იმ წესებით და სიმაღლეზე, როგორც ეს მიღებული იყო უფრო ადრე.

ქართული წარწერა სპეციალური საჭრეთელი იარაღით აღჭურვილი პროფესიონალი ქვაზე მწერლის შესრულებულია. იგი, ცხადია, გამოცდილია წარწერების ამოკვეთაში, მაგრამ ისიც ცხადია, რომ მას საქართველოდან სპეციალურად ამისთვის ვერ ჩამოიყვანდნენ, სირიის ამ ნაწილში კი ეს წარწერა ქართველთა აქ ყოფნის პირველი დადასტურებაა. უნდა ვივარაუდოთ, რომ მწერალი ჩამოყვანილია ანტიოქიდან და სპანტალუდსაც ანტიოქელი ქართველები კარგად იცნობდნენ.

### **P3-ის ანდერძი**

1040 წ. კალიპოს მონასტერში (შავი მთა) იერუსალიმის ჯვრის მონასტრის წინამძღვრის პროხოროსათვის გადაწერილი ხელნაწერის (ამჟამად პეტერბურგში ინახება ნომრით P3), კოლოფონში ვკითხულობთ:

“დაიწერა წმიდა ესე წიგნი დასაბამითგან წელთა ხქცდ(1020)6 ხელითა ჩუენითა ცოდვილითა და შეიმოსაცა ქუეყანასა ასურეთისასა ანტიოქისათა, სანახებთა წმიდისა სვიმეონ საკვირველთმოქმედისათა, საყოფელსა წმიდისა ღმრთისმშობელისასა მონასტერსა ქართველთა კალიპოსს, მეფობასა ბერძენთა ზედა წმიდისა მეფისა მიხაილისსა, და აფხაზთა და ქართველთა ზედა ბაგრატ კურაპალატისასა, ადიდენ ღმერთმან მეფობა მათი ქორონიკონსა სA (1040).

ქრისტე, ადიდე სულითა სულა ზოლავარი<sup>7</sup> და შვილნი მათნი. ღმერთო სახიერო, ადიდენ ორთავე ცხორებათა შინა სტეფანე და ვაჩე ერთობით. უფალო ღმერთო, შეიწყალენ ძმანი ჩუენნი სანანო და ვაშა ძმითურთ და ძმისწულნი ჩუენნი გიორგი, თეოდორე და იოვანე. ქრისტე, მგლობელო ყოველთა არსთაო, ადიდე ორთავე ცხორებათა სპანდალუტ პატრიკი 8,ამენ. უფალო ღმერთო სახიერო, შეიწყალენ სულითა სალამას ძენი თეოდორე და კალოჟან”.<sup>9</sup>

რა თქმა უნდა, კოლოფონში მოხსენიებული სპანდალუტ პატრიკი არის იგივე ბალატუნუსის ბერძნული წარწერის სპანტალუდ ტბელის ძე.ვ.ჯობაძე, რომელმაც, ცხადია, არ იცის ბალატუნუსის წარწერის შესახებ, სპანდალუტს მონასტრის ძმობის წევრად მიიჩნევს.<sup>10</sup> ანდერძის მიხედვით, შეიძლება ვიფიქროთ, რომ 1040 წელს სპანდალუტ პატრიკიოსი უკვე აღარ არის ლაოდიკეის სტრატეგოსი (ასეთი დაშვება არ არის სავალდებულო, მაგრამ მოსალოდნელია, რადგან სტრატეგოსების გაძლიერების შიშით მათ, როგორც წესი, მხოლოდ 3-4 წლით ნიშნავდნენ ხოლმე), მაგრამ ჯერ კიდევ გამოჩენილი საერო მოღვაწე რომ არის, ცხადია. ამაზე მიუთითებს მისი პატრიკიოსად წოდება და მონასტრის ძმობის მიერ ქრისტესთვის შევედრება, ადიდოს იგი “ორთავე ცხორებათა შინა”. ვფიქრობ, ანდერძში კარგად არის გამიჯნული ერთმანეთისგან საერო პირები და ბერები, ცოცხალნი თუ გარდაცვლილნი. საერონი: “ქრისტე, ადიდე სულითა სულა ზოლავარი და შვილნი მათნი”; “ღმერთო სახიერო, ადიდენ ორთავე ცხორებათა შინა სტეფანე და ვაჩე ერთობით”; “ქრისტე, მგლობელო ყოველთა არსთაო, ადიდე ორთავე ცხორებათა სპანდალუტ პატრიკი, ამენ”; “უფალო ღმერთო სახიერო, შეიწყალენ სულითა სალამას ძენი თეოდორე და კალოჟან”. ბერები: “უფალო ღმერთო, შეიწყალენ ძმანი ჩუენნი სანანო და ვაშა ძმითურთ და ძმისწულნი ჩუენნი გიორგი, თეოდორე და იოვანე”; უფალო ღმერთო სახიერო, შეიწყალენ სულითა სალამას ძენი თეოდორე და კალოჟან”.

აქვე შეიძლება შევნიშნოთ, რომ ამ ხელნაწერის კოლოფონის ასომთავრულით ნაწერი საზედაო ასოები შესამჩნევად გავს ბალატუნუსის ქართულ წარწერის გრაფემებს.

### **ტბელების საგვარეულო**

ახლა უკვე შეგვიძლია გადავიდეთ სპანდალუტის მა-მის სახელზე «ტბელი».

X ს-ის მანძილზე ტბელები ორჯერ თამაშობდნენ მნიშვნელოვან როლს საქართველოს ისტორიაში. ორჯერვე ისინი საქართველოს ერთიანობის წინააღმდეგ გამოდიან. პირველად ისინი დაუპირის-პირდნენ აფხაზთა (დასავლეთ საქართველოს) მეფეს გიორგი II-ს (922-957) და მხარი დაუჭირეს მის განდგომილ ძეს კონსტანტინეს. გიორგიმ, „მატიანე ქართლისას“ ცნობით, ტბელები მკაცრად არ დასაჯა და სომხეთის პროვინციაში, ვასპურაკანში (ასპურაგანს) გაასახლა.<sup>11</sup>

ამით ქართლში ტბელების ერისთავობა არ შეწყვეტილა. მეორედ ერთიანი საქართველოს პირველი მეფეს ბაგრატ III-ს (960-1014) დროს ქართლის ფეოდალებმა, ქვეთარ ტბელის მეთაურობით 982 წლის ახლოს სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლაში, მაგრამ დამარცხდნენ სოფელ მოღრისთან.<sup>12</sup> წყაროდან არა ჩანს, რა ბედი ეწიათ თვითონ ტბელებს, მაგრამ მარცხის შედეგები რომ პირველ რიგში მათ შეეხებოდათ, ამაში ეჭვი არ უნდა იყოს: „რომელნიმე დახოცნეს, რომელნიმე დაიპყრნეს და სხუანი მეოტნი გარდაიხუეწნეს და დაიფანჩნეს“.<sup>13</sup>

### **ტბელი – ანთროპონიმი**

მართალია „ტბელი“ ქართლის ერისთავების საგვარეულო სახელია, მაგრამ ამავე საგვარეულოში იგი ანთროპონიმიდაც გვხვდება. მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ბორცვის ჯვრის წარწერა, რომელშიც მოხსენიებულია ქვეთარის ძე ტბელი და ტბელის ოთხი ძე (ამ წარწერის შესახებ ქვემოთ ცალკე იქნება საუბარი); ცხრაკარის წარწერა: „ქრისტე, ადიდე ოქროპირი ძე ტბელისა“; იქვე: „ქრისტე, განუსვენე სულსა ტბელისასა“<sup>14</sup>. ხობის მონასტრის კუთვნილ ჭედურ ხატზე (XI ს.) მოთავსებულია წარწერა ტბელ გრიგოლის ძის, რომელსაც ხატი შეუწირავს მრავალ გამარჯვებათა სანაცვლოდ<sup>15</sup>.

ტბელი, როგორც საგვარეულო და საკუთარი სახელი დაახლოებით ამავე ხანებში გავრცელდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოშიც<sup>16</sup>, ვინაიდან აქც მდებარეობდა სოფელი ტბეთი და ტბეთის მონასტერი, შემდეგში საეპისკოპოსო (მტბევარი) რეზიდენცია. ამ სახელის მატარებელთა ყველაზე ცნობილი წარმომადგენელია ტბელ აბუსერის ძე.<sup>17</sup>

როგორც ჩანს, ქართლის ტბელებს პატრიკიოსის ტიტულიც ჰქონდათ<sup>18</sup> ჯერ კიდევ საქართველოში, შესაძლოა, მთელი X საუკუნის მანძილზე. ამ ტიტულით ბორცვისჯვრის წარწერებში (X ს-ის ბოლო) გვხვდება ტბელი, ძე ქვეთარისა;<sup>19</sup>

ამავე ეკლესიის წარწერებს შორის ყურადღებას იქცევს ორი ერთმანეთის მომდევნო წარწერა, რომელთაც ვ. თოფურია ერთ წარწერად მიიჩნევს. ერთში მოხსენიებულია პატრიკიოსი ტბელი როგორც გარდაცვლილი და მისი მეუღლე(?) ეპრაქსი<sup>20</sup> (ბერძნული წარმოშობის სახელი „ეპრაქსი“ დღევანდელ საქართველოშიც გვხვდება), ხოლო მეორეში – მათი ოთხი ვაჟიშვილი: ოქროპირი, სპდლ~დ, დავით, ქვეთარ. მართალია, ეს წარწერა 1924 წლიდან რამდენჯერმე არის გამოცემული, მაგრამ სპეციალისტებმა ტბელის მეორე შვილის დაქარაგმებული „სპდლ~დ“-ის გახსნა ვერ შესძლეს.<sup>21</sup> დღეს ჩვენთვის უკვე ნათელია, რომ ეს არის ტბელის ძე სპ(ან)დ(ა)ლ(უ)დ-ი, სწორედ ის, სპ(ან)დ(ა)ლ(უ)დი <>სპანტალუდ-ი<>სპანდალუტ (დ<>ტ-ს ერთმანეთთან ასიმილაციის ან დისიმილაციის მიხედვით), რომელმაც ბალატუნუსის ბურჯები აღადგენინა და ორენოვანი წარწერები გააკეთებინა.

ერთდროულად ამ სახელისა და მამის სახელის მატარებელი სხვა პირი, რამდენადაც მე ვიცი, არ არის დადასტურებული. ამიტომ ბორცვის ჯვრისა და ბალატუნუსის წარწერის პროტაგონისტები ერთი და იმავე პირად უნდა ჩავთვალოთ.

შიდა ქართლის წარწერების მიხედვით სპანდალუდის მამა ტბელი პატრიკოსია და მისი მამის სახელია ქავთარ. როგორც ჩანს, იგი 982 წლის ახლოს თავის მამასთან ერთად იბრძოდა ბაგრატ მესამის წინააღმდეგ და, შესაძლოა, ამ ბრძოლაში დაიღუპა ან სიკვდილით დასაჯეს. ერედვის წარწერების მიხედვით უნდა ვიფიქროთ, რომ ტბელის შვილები X ს-ის ბოლო ოცეულის დასწყისში ჯერ კიდევ არასრულწლოვანები ან ბავშვები იქნებოდნენ და ამან გადაარჩინათ.

ამრიგად, ტბელების ამ შტოს გენეალოგიური ხე ასეთია:

ქავთარ-ი

I

ტბელ-ი \_ ეპრაქს-ი(?)

I

ოქროპირ-ი, სპანდალუდ-ი, დავით-ი, ქავთარ-ი სპანდალუდი \_ ტბელების საგვარეულო სახელი წარწერები ტბელების საგვარეულოში უეჭველად ადასტურებენ შემდეგ სახელებს: ივანე, ტბელი, სპანდალუდ, ქავთარ, ოქროპირ, დავით, (სხვებს, რომელთა შესახებ პირდაპირი მითითება არ არის, მაგრამ შეიძლება ვარაუდი, მე არ შევხები). თეორიულად მოსალოდნელია საგვარეულოში სახელები მეორედბოდეს. ვნახოთ, როგორ არის საქმე ამ მხრივ საკმაოდ უჩვეულო სახელის „სპანდალუდ“-ის მიმართ.

### კლდეისას წარწერა

2010 წელს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ბალატუნუსის ბილინგვის შესახებ წაკითხული მოხსენების შემდეგ ჩემთან მოვიდა ხელოვნებათმცოდნე გიორგი გაგოშიძე და გადმომცა კლდეისის წარწერის ფოტო, რომელიც 2009 წლის 15 მაისს გადაუღია რეჟისორ გელა ქოქიაშვილს (მადლობას მოვახსენებ მათ ასეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტის მოწოდებისთვის).

კლდეისას ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი მდებარეობს თრიალეთში, ხრამის ხეობაში, კლდეისის წყლის ნაპირას. 22 სამხრეთი კარის თავზე, თალსა და ბალავრის ქვაზე განთავსებულია სამი წარწერა.

კარის თაღის წარწერა (მარჯვენა მხარეს დაკარ-გულია წარწერის დაახლოებით ორი მესამედი):

ქ̄ ე შ̄ ე ივ̄ ნე - - - (ქ̄ ე შ̄ ე ივ̄ ნე - - -); ქ(რისტ)ე შ(ეიწყალ)ე ივ(ან)ე - - - (ქ(რისტ)ე, შ(ეიწყალ)ე ივ(ან)ე - - -).

სამხრეთი კარის კარგად მოჩუქურთმებული არქიტრავი (ბალავრის ქვა) გაყოფილია ჯვრით ორ ნაწილად. ორივე მხარეს განთავსებულია წარწერა.

მარცხენა მხარეს სამ სტრიქონად ამოკვეთილია:

1. ქ̄ ე შ̄ ე 2. სპ̄ ნდ̄ ლ 3. ოა̄ დ (1. ქ̄ ე შ̄ ე 2. სპ̄ ნდ̄ ლ 3. უდ);

1. ქ(რისტ)ე შ(ეიწყალ)ე 2. შპ(ან)დ(ა)ლ 3. ოა̄ დ (1. ქ(რისტ)ე, 2. შ(ეიწყალ)ე 3. სპ(ან)დ(ა)ლ 4. უდ).

მარჯვენა მხარეს ოთხ სტრიქონად ამოკვეთილია:

1. ქ̄ ე შ̄ ე 2. ქვ̄ თ̄ რ 3. ტ̄ ზლ 4. ნი (1. ქ̄ ე შ̄ ე 2. ქვ̄ თ̄ რ 3. ტ̄ ზლ 4. ნი); 1. 1. ქ(რისტ)ე შ(ეიწყალ)ე 2.

Q(ავთ)არ 3. ტბ(ელ)ლ 4. ნი (1. ქ(რისტ)ე, შ(ეიწყალ)ე 2. ქ(ავთ)არ 3. ტბ(ელ)ლ 4. ნი).

წარწერა ე. თაყაიშვილს, სამწუხაროდ, გამოქვეყნებული აქვს ფოტოს გარეშე. ასომთავრულით იგი სწორად გადმოსცემს მას, მაგრამ კითხულობს შეცდომით: „სპ(ან)დ(ა)ლუდ“ ე.თაყაიშვილს წაკითხული აქვს როგორც „სპირიდონ დალუდი“. ამ შეცდომის წყაროა ერთი მხრივ მისთვის სრულიად უცნობი სახელი და მეორე მხრივ ერთი სახელის ორი დაქარაგმებით გადმოცემა (წარმოიდგინა როგორც სახელი და წოდება ან გვარი), თუმცა ასევე ორი დაქარაგმება აქვს „ქავთარსაც“, მაგრამ ეს სახელი მისთვის კარგად იყო ნაცნობი. გარდა ამისა, ე. თაყაიშვილს უკვირს, რატომ არის „ქავთარ ტბელნი“ მრავლობითში და თარგმანში წერს მხოლოდითს („ტბელი“) კითხვის ნიშნით. ცხადია, მას „სპირიდონ დალუდი“ და „ქავთარ ტბელი“ ერთი გვარისად ვერ წარმოუდგენია, რადგან „სპირიდონს“, მისი აზრით, თავისი „დალუდი“ აქვს გვარად.<sup>23</sup>

ჩემთვის ცხადია, რომ ბალავრის წარწერა ეკუთვნის ძმებს სპანდალუდ და ქავთარ ტბელებს და იგი ასე უნდა იქნას წაკითხული:

ქ(რისტ)ე შ(ეიწყალ)ე სპ(ა)ნდ(ა)ლუდ; ქ(რისტ)ე შ(ეიწყალ)ე ქ(ა)ვთ(ა)რ \_ ტბელნი.<sup>24</sup>

ვფიქრობ, ცხადი უნდა იყოს ისიც, რომ სამხრეთის კარის წარწერები ქმნიან ერთ ჯგუფს და ეკუთვნიან ერთ ოჯახს. დიდია ალბათობა, რომ ივანე არის მამა (მთავარი წარწერა), ხოლო სპანდალუდი და ქავთარი მისი შვილები. მათი საერთო საგვარეულო სახელია ტბელი („ტბელნი“). ივანე [ტბელის] წარწერა ამოკვეთილია სატრიუმფო თაღზე მეტი კალიგრაფიული დახვეწილობით და, ცხადია, ის უნდა იყოს ეკლესიის ამშენებელი. დაკარგულ ნაწილში მოსალოდნელია, რომ ეწერებოდა მისი საგვარეულო სახელი და ტიტულატურა. პალეოგრაფიულად ეს წარწერები X ს-ის მეორე ნახევარზე ადრინდელი არ უნდა იყოს.

ერედვისა და დოდოთის ეკლესიების წარწერებში ორჯერ გვხვდება ივანე ტბელის სახელი: ერედვში ის მოხსენებულია როგორც „ქართლის უფალი“, ხოლო დოდოთის წარწერაში როგორც ერისთავი. ნ. შოშიაშვილი მათ ერთსა და იმავე პირად მიიჩნევს და ორივე წარწერას ათარიღებს 914 წლის ახლო ხანებით, ხოლო რ. მეფისაშვილის აზრით დოდოთის წარწერა X-XI სს. მიჯნით უნდა დათარიღდეს. ჩემი აზრით, იმდენად განსხვავებულია ეს ორი წარწერა პალეოგრაფიულად, რომ ერთ პერიოდში დაწერილი არ უნდა იყოს. მეორე (დოდოთის) ივანეს წარწერა აშკარად უფრო გვიანდელია, ვიდრე პირველი. ზუსტად თარიღის განსაზღვრა პალეოგრაფიულად ძნელია, მაგრამ რადგან ტბელების წარწერები X ს-ის 80 წლებზე გვიანი არ შეიძლება იყოს, მის თარიღის ზედა ზღვარიც ასევე უნდა განისაზღვროს: X ს-ის II ნახევარი 80-იან წლებამდე.

კლდეისის წარწერის ივანე ერისთავს ან ერისთავთა ერისთავს მე ვაიგივებ დოდოთის წარწერის ივანე ერისთავთან: „სახელითა ღმრთისათა, ივანე ტბელმან ერისთავმან აღაშენა ესე წმიდა ეკლესია სალოცველად მისთუის და ხუთთა ძეთათუის.“<sup>25</sup>

ე. თაყაიშვილს იქვე ეკლესიასთან უნახავს ქვების გროვა, რომელთა შორისაც მისი ვარაუდით წარწერიანიებიც იქნებოდა. სამწუხაროდ, მას ქვების გროვის გაშლა და დათვალიერება ვერ მოუხერხებია (მოსალოდნელია, რომ სამხრეთის კარის წარწერის ნაწილის მოძებნაც შესაძლებელი იქნებოდა), მაგრამ, რისი (ეკლესიის გარშემო მიმოფანტული ქვები) ნახვა და წაკითხვაც შესძლო, ძალიან მნიშვნელოვანია. აი ერთი მათგანიც, რომელმაც ჩემი განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო:

1. ქ სხ [ელითა] ღ ათა მე ბთა წ სა ღმ შბ თ აღ

2. ვაშენე ესე - ეკლეს - - [გლეთ] ივ ნე [ე] ემნ

1. ქ სხ [ელითა] ღ ათა მე ბთა წ სა ღმ შბ თ აღ

2. ვაშენე ესე - - ეკლეს - - [გლეთ] ივ ნე [ე] ემან

ქარაგმების გახსნით წარწერა შემდეგ სახეს მიიღებს:

ქ სხ [ელითა] ღ ათა მე ბთა წ სა ღმ შბ თ აღ

2. ვაშენე - - ეკლეს - - [გლეთ] ივ ნე [ე] ემნ

1. ქ ს(ა)ხ[ელითა] ღ(მრთის)ათა, მე(ოხე)ბ(ი)თა წ(მიდი)სა ღმ(რთი)შ(ო)ბლ(ისა)თა აღ

2. ვაშენე ესე - - ეკლეს(ია) - - [გლეთ] ივ(ა)ნე [ე(რისთავთ)]ე(რისთავ)მან

ძალიან ძნელია მსჯელობა წარწერაზე, რომლის არც ფოტოა გამოქვეყნებული, არც მონახაზი, არც პალეოგრაფიული აღწერილობა და არც მიახლოებითი დათარიღება. მიუხედავად ამისა, სამხრეთი კარის თაღის წარწერის ივანე და ეკლესიის საამშენებლო წარწერის ივანე ერისთავი (ე. თაყაიშვილის აღდგენით - ერისთავთ-ერისთავი) მე ერთი და იგივე მგონია.

### წორბისის წარწერა

1980 წლის შემოდგომაზე შიდა ქართლში, ტბელების სამფლობელოში აღმოჩნდა წარწერიანი (ასომთავრული) ქვა წორბისის ეკლესიიდან. პირველად იგი ამოიკითხა და გამოაქვეყნა (1981 წელს) ი. მეგრელიძემ.<sup>26</sup> სამწუხაროდ, ქრონიკონის ამოკითხვაში მან შეცდომა დაუშვა და წარწერა

880 წლით დაათარიდა. იმავე 1981 წლის არქეოლოგიური ექსპედიციის რუსულად გამოქვეყნებულ ანგარიშში იგივე წარწერა ახლად წაიკითხა და თარიღიც სამართლიანად გაასწორა (960 წ.) ო. ტყეშელაშვილმა.<sup>27</sup> ფოტოსთან შედარების შემდეგ ტექსტმა საბოლოოდ ასეთი სახე მიიღო:

**„სახელ(ო)თა ღმრთის(ა)თა, ესე კ(ო)ნქი შ(ე)ქმნა ივ(ა)ნე ერ(ი)სთ(ა)ვმ(ა)ნ ს(ალოც)ვ(ე)ლ(ა)დ მ(ა)თდა ქრ(ო)ნ(ი)კ(ო)ნსა რჳ ს(ა)ზაის მ(ა)მ(ა)ს(ა)ხლ(ი)ს(ო)ბ(ა)სა“.**

როგორც ი. მეგრელიძემ, ისე ო. ტყეშელაშვილმა წორბისის წარწერის ივანე ერისთავი ივანე ტბელ ერისთავთან გააიგივეს, მაგრამ თარიღი რომ სხვადასხვა ჰქონდათ, იდენტიფიკაციაც სხვადასხვა ივანესთან გააკეთეს. ჩემი აზრით, დოდოთის, კლდეისას და წორბისის წარწერის ივანე ერისთავები (ერისთავთ-ერისთავები) ერთი და იგივე პიროვნებაა და მათი ქართლის (არა მხოლოდ შიდა ქართლის) ერისთავობის მიახლოებითი დათარიღებისათვის უკვე საყრდენიც მოგვეპოვება: ეს არის 960 წლის ახლო პერიოდი. თუ ასეა მაშინ, ჩვენ შეგვიძლია ტბელების გენეალოგიური ხისთვის კიდევ ორი თაობის შემატება:

როგორც ჩანს, ტბელების „ქართლს შინა უფლობა“ გაცილებით მეტის მთქმელი იყო, ვიდრე დღეს ჩვენ წარმოგვიდგენია და არც მათი ერისთავობა გრძელდებოდა სულ რაღაც ოცი წელი<sup>28</sup>. ტბელები ეკლესიას აშენებენ შიდა ქართლშიც და ქვემო ქართლშიც (სამშვილდის რეგიონში), ხოლო ივანე ტბელი ქართლის ერისთავთ-ერისთავის ტიტულსაც ატარებს. მართალია, „ქართლის ცხოვრების“ ცნობებით აფხაზთა მეფეები პერიოდულად მათ შეცვლას ცდილობენ, მაგრამ, ჩანს, ტბელები თავის უფლებებს მთელი X ს-ის მანძილზე არა თმობენ და მათი მეთაურობით ქართლის წარჩინებულთა ბრძოლაც ქვეყნის გასაერთიანებლად მებრძოლი აფხაზთა მეფეების წინააღმდეგ, ამის ნიშანია. შემთხვევითი არ არის, რომ კლდეკარის ერისთავების აღზევება მოღრისი ბრძოლის შემდეგ, ტბელების მიერ ქართლის ერისთავობის დაკარგვის შემდეგ იწყება.

“რომელნიმე დახოცნეს, რომელნიმე დაიპყრნეს და სხუანი მეოტნი გარდაიხუეწნეს და დაიფანჩნეს”

ივანე ტბელს ხუთი ვაჟიშვილი ჰყავდა. ამათგან ჩვენ უკვე ვიცნობთ სპანდალუდსასა და ქავათარს. რადგან ქავთარის ძე ტბელი მისი შვილიშვილია, მე ვუშვებ შესაძლებლობას, რომ ივანეს მესამე ვაჟიც ტბელის სახელს ატარებდა. ბაგრატ III-სთან ბრძოლაში ქართლის დიდებულებს სათავეში უდგას ქავთარ ტბელი. ეჭვი არ უნდა იყოს, რომ მას მხარში ამოუდგებოდნენ ძმა სპანტალუდ და ვაჟი ტბელიც. თქმა არ უნდა, მისი სულ ცოტა კიდევ ერთი ძმა, მოსალოდნელია სახელად ტბელი, აგრეთვე მონაწილეობდა ბრძოლებში.

ზემოთაც დავწერე, რომ ბაგრატ მესამესთან ბრძოლაში მის მოწინააღმდეგეთაგან ზოგი რომ დაიღუპა, ზოგი ტყვედ ჩავარდა, ხოლო ზოგი გადაიხვეწა და გაიფანტა სხვადასხვა მხარეს, ცხადია პირველ რიგში ტბელებს უნდა ეხებოდეს. სხვების შესახებ ზუსტად ჯერ არაფერი ვიცით, მაგრამ ქავთარის ძე ტბელი რომ გარდაცვლილია (ალბათ დაღუპული), ვიცით ბორცვისჯვრის წარწერიდან. ისიც კარგად ვიცით ბალატუნუსის წარწერიდან, რომ სპანტალუდ ტბელის ძე 1031 წელს ბიზანტიის იმპერიის დიდი მოხელეა, ლაოდისკეის სტრატეგოსი. დაახლოებით 982 წლიდან 1031 წლამდე გასულია 49 წელი, ხოლო 1040 წლამდე – 58. გასაგებია, რომ მოღრისის ბრძოლის დროს სპანტალუდი და მისი ძმები მცირეწლოვანები იქნებოდნენ. მაგრამ ქართლში მათ მაინც არ დატოვებდნენ, ასაკში შესულეებს თავისი საგვარეულო უფლებებისთვის ბრძოლა რომ არ დაეწყოთ.

### **სპანდალუდ ტბელი ბიზანტიაში**

სპანდალუდი არ უნდა იყოს საქართველოდან დიდი ხნის, ჯერ კიდევ ბავშვობაში წასული. მისთვის ქართულ ენაზე წარწერის გაკეთება, მიუხედავად იმისა, ეყოლებოდა თუ არა მას მკითხველი, ჯერ კიდევ დიდად მნიშვნელოვანია. მაშ, სად არის იგი მოწიფულობამდე?

სუმბატ დავითის ძე გვამცნობს:

“გარდაიცვალა გიორგი (გიორგი I), მამა ამის ბაგრატისი (ბაგრატ IV), თრიალეთს . . . ქორონიკონსა ს~შ~ზ (1027), თუესა აგვისტოსა ი~ე (15) . . . და დაჯდა შემდგომად მისსა მეფედ ძე მისი ბაგრატ

ცხრისა წლისა. ხოლო აზნაურნი ტაოელნი წარვიდეს საბერძნეთს: ვაჩე კარიჭის-მე და ბანელი ეპისკოპოსი იოვანე, და ამათ თანა უმრავლესნი აზნაურნი ტაოსა[ანი], რომელნიმე ციხოვანნი და რომელნიმე უციხონი. განუდგეს ბაგრატს და მიერთნეს კოსტანტინეს, ძმასა ბასილი ბერძენთა მეფისასა, რომელი შემდგომად მისსა მეფე იყო”.<sup>29</sup>

ამავე მოვლენების თვითმხილველი სომეხი ისტორიკოსი არისტაკეს ლასტივერტელი (XI ს.) მოგვითხრობს:

“1027 წელს მეფემ (ბიზანტიის კეისარმა რომანოს მესამემ – ზ.ა.) აღმოსავლეთ მხარეში გამოგზავნა მმართველად საჭურისი ვინმე ნიკიტა[ა], რომელიც მოვიდა საქართველოში და მაცდური სიტყვებით ქვეყნის ბევრი აზნაური გამოიყვანა სამშობლოდან და მეფის კარზე გაგზავნა. ეს რომ [კეისარმა] იხილა, განიხარა, პატივი სცა მათ დიდი ძღვენითა და სახელისუფლებო ჩინით, თვითეულ მათგანს უბოძა მათი ღირსებისამებრ სოფლები და დაბეზი ხელწერილითა და ბეჭდით სამარადისო სამემკვიდრეოდ”.<sup>30</sup>

მატიანე ქართლისა<sup>31</sup> და სუმბატ დავითის ძე<sup>32</sup> არ ასახელებენ ბიზანტიის კეისრის მიერ აღმოსავლეთის მმართველად დაყენებული ნიკიტას (Νικηταξ) სახელს და მოიხსენიებენ მას თანამდებობით – კატაბანი (ბერძნ. Καταπανα კატეპანო) აღმოსავლეთისა ანუ იბერიის თემისა, ისევე როგორც მის შემდეგ გამოგზავნილ სიმონს<sup>33</sup> მხოლოდ პარკიმანოზის (παρακοιμενος პარაკიმენოს, ქართ. „მესაწოლეთ-უხუცესი“<sup>34</sup>) ტიტულით მოიხსენიებენ.

დიდია ალბათობა, რომ საჭურის ნიკიტა კატეპანის მიერ გადაბირებულ ქართველ წარჩინებულთა შორის იყო ტაოში გადახვეწილი სპანტალუდ ტბელის ძეც.

როგორც ჩანს, ამავე რიგის მოვლენას ასახავს მეორე სომეხი ისტორიკოსის მათეოს ურჰაეცის (XII ს.) ცნობა: რომანოს III-ის ალეპოზე ლაშქრობაში (1030) მონაწილეობს „ვინმე მთავარი აპუქაპ (ბიზანტ. წყაროებში „აპოკაპეს“, არაბ. აბუ ხაფ), რომელიც წინათ ქართველთა მეფის დავით კურაპალატის „მესაწოლეთ-უხუცესი“ (სომხ. Վրասապահ ვრანაპაჰი, ბერძნ. παρακοιμενος პარაკოიმენოს, ქართულ წყაროებში „პარკიმანოზ“-ი<sup>35</sup>) იყო. მომდევნო წელს ბიზანტიის კეისარი რომანოსი ედესას იღებს და მას აძლევს ედესის დუქსის თანამდებობას.<sup>36</sup>

ვნახოთ ახლა, რა დამთხვევები გვაქვს მოვლენებსა და პიროვნებებს შორის 1027 წელს საქართველოდან (ტაოდან) საჭურის ნიკიტა კატეპანის ბიზანტიაში დაბრუნებისა და თან ქართველი წარჩინებულების გაყოლიების გათვალისწინებით.

1. საქართველოდან დაბრუნებული პატრიკიოსი ნიკიტა კატეპანი რამდენიმე წლის შემდეგ ხდება ანტიოქიის რექტორი<sup>37</sup> და ხელმძღვანელობს ჩრდილო სირიის მაკონტროლირებული ძლიერი ციხე-სიმაგრის, ბალატუნუსის ბიზანტიის იმპერიისათვის დაბრუნებას. ბალატუნუსის ბილინგვის მიხედვით, ციხე-ქალაქი 1031 წელს დაიბრუნა საჭურისმა ნიკიტა კატეპანმა და ამავე წელს აღადგინა ლაოდიკეის სტრატეგოსმა და პატრიკიოსმა სპანტალუდ ტბელის ძემ, რომელიც როგორც ლაოდიკეის თემის ჯარების სარდალი, უეჭველია ქალაქის აღებაშიც მონაწილეობდა და იგი მის განმგებლობაში შედიოდა. სად შეიძლებოდა ესენი ერთმანეთს შეხვედროდნენ სირიაზე ლაშქრობამდე, თუ არა ტაოში, როდესაც ნიკიტამ ვაჩე კარიჭისძე და სხვა ქართველი დიდებულები ბიზანტიაში წაიყვანა, ხოლო რომანოზ მესამემ მის მხარეს გადასული ქართველები სხვადასხვა თანამდებობებითა და ტერიტორიებით დაასაჩუქრა. თუ ვისმეს ექნებოდა საკმარისი მოტივაცია საქართველოს დატოვებისა, ეს უნდა ყოფილიყო ბაგრატ მესამის წინააღმდეგ მებრძოლი ქვთარ ტბელის შვილიშვილი სპანდალუდ ტბელის ძე.

2. შავ მთაზე კალიპოს მონასტრის ხელნაწერის (P3) კოლოფონში სპანდალუდის ზუსტად ანალოგიური ეპითეტით („ადიდე ორთავე ცხორებათა შინა“), რომელიც ბიზანტიაში მაღალ ადმინისტრაციულ ან სამხედრო თანამდებობას გულისხმობს, მოხსენებულია ვაჩე, ვვიქრობ, სერიოზული ალბათობით, იგივე ვაჩე კარიჭისძე. ადვილი შესაძლებელია, რომ ვაჩე კარიჭისძემ რომანოზ მესამისგან „მისი ღირსების“ შესაფერისი თანამდებობა და მამულები მიიღო სწორედ

ჩრდილოეთ სირიაში, ისე როგორც აპუქაჰმა (ედესა) და სპანდალუდმა (ლაოდისკა). საქმე ის არის, რომ ამ ხანებში ბიზანტიისათვის უმთავრესი მიზანი იყო სირიის დაბრუნება არაბებისგან და მისი ტერიტორიების თავისი ერთგული პირების მიერ ათვისება როგორც პოლიტიკურად ისე სოციალურად. გავრცელებული შეხედულებით, ვაჩე კარიჭისძის შვილია შავ მთაზე მოღვაწე ეფრემ მცირე. თუ ვაჩე 1027 წლის შემდეგ დასახლდა ამ რეგიონში მაშინ გასაგებია, რომ ეფრემი ბავშვობიდანვე სირიაში აღიზრდებოდა, შესაძლოა, შავ მთაზე, რადგან სხვაგან კარგი განათლების მიღება ვერ მოხერხდებოდა. არა მგონია, უეჭველი იყოს კ. კეკელიძის ვარაუდი, თითქოს 1057 წელს ბერძნებთან გიორგი მთაწმიდლის კამათის დროს ეფრემი ჯერ კიდევ იქ არა ყოფილა, რადგან ბერძნულიდან ქართულად მთარგმნელად მხოლოდ გიორგის ასახელებენ ქართველები.<sup>38</sup> ცხადია, 1057 წელს ეფრემი ჭაბუკი, განსწავლის პროცესში იქნებოდა და მას გიორგისთან არავინ გაათანაბრებდა.<sup>39</sup> სწორედ შენიშნავს ქ. ბეზარაშვილი, რომ ეფრემ მცირე „თავის კოლოფონებში საკუთარ მოღვაწეობასთან დაკავშირებით არსად ახსენებს კონსტანტინეპოლს“. <sup>40</sup> ამასვე უნდა მოწმობდეს ეფრემ მცირის ანდერძი, რომელშიც იგი პირდაპირ წერს, რომ ბერძნული განათლება მან შავ მთაზე მიიღო „ჟამსა სიუცბისა და სიჭაბუკისა ჩემისასა“.

კალიპოს მონასტრის ხელნაწერის კოლოფონის მოსახსენებელში, ცხადია, შემთხვევითი პიროვნება ვერ მოხვდებოდა. ცხადია, აგრეთვე, კოლოფონში მოხსენიებულ ყველა პირს რაღაცა სიახლოვე და დამსახურება ჰქონდათ შავი მთის ქართულ მონასტრებთან.

### **ტბელები სვანეთში**

„მატიანე სუანეთისა კრებისა“-ში (გამომცემელი პ. ინგოროყვა XIII ს-ის მეორე ნახევრით ათარი-ლებს<sup>41</sup>) მას კრების მოსახსენებელში 107-ე ნომრად დასახელებულია გ(იორგ)ი ტბელიანი<sup>42</sup>, ხოლო 67-ე ნომრად – ფურთუხ ტბელიანი.<sup>43</sup> ლემტერის კრების მოსახსენებელში 23-ე ნომრად დასახე-ლებულია ი(ვან)ე ტბელიანი.<sup>44</sup> რადგან სვანთა გვარების უმეტესობა სახელებიდან ან მეტსახე-ლებიდან არის ნაწარმოები, ცხადია, უკვე სხვადასხვა ოჯახად ჩამოყალიბებული ტბელიანები ტბე-ლის ჩამომავლები არიან.

საინტერესოა, რომ ბეჩუს კრების მოსახსენებელში მე-8 ნომრად დასახელებულია “ტბელის დედა მთვარე”.<sup>45</sup> ეს ცნობა იმის მიმანიშნებელია, რომ მოსახსენებლის შედგენისას სახელი “ტბელი” სვანეთში ჯერ კიდევ ცოცხალია.

მაგრამ რომელი ტბელი უნდა ასულიყო სვანეთში, სამუდამოდ იქ დასახლებულიყო და სათავე დაედო მისი სახელის მატარებელი საგვარეულოსათვის, ქართლის თუ სამხრეთ-დასავლეთი საქართველოსი? ვფიქრობ, “სვანეთის კრების მატიანემ” ამისი პასუხიც შემოგვინახა.

თურმე ქრთამით მიუღია იბერიელ ბერსა, მსახურსა ბერძნული ეკლესიისა. მიუცია პირობა: მონოფიზიტთა წიგნები დაიდებს ბინას ბერძენ სწავლულთა სკოლის საცავსაო. თურმე სამი ურემი დაუცლიათ თაბორის მთასა. მანამდე ორი ბერი მისულა კრეტასა, შეუძენიათ ბერძენ სწავლულთა ძველი წიგნები. მალევე გამგზავრებულან ეგრისსა. წიგნები მიუტანიათ რიტორთა სკოლასა.

წიგნები ფაზისის რიტორთა სკოლისა, მიუტანიათ ახალი ფაზისის, იმავე აფსარის სამალავსა.

ბერები მალევე მიბრუნებულან თაბორის მთასა. გაუგიათ ამბავი: კონსტანტინოპოლი დატოვა ბერძენი ბერების გემმაო.

გეგმა ჰქონია იბერსა: ბერძენნი ნახავენ წიგნებსა, მონოფიზიტთა ცრუ მოძღვრებისა, მათივე ფარულ მიმდევრობას დამაბრალებენო. აღარ მოისურვებენ მათივე ბერების მოვლინებას თაბორის მთასაო.

იბერთა ენას ვითარგმნოთ ძველ მოაზროვნეთა შრომები. ეცოდინება კეისარსა, ფაზისის სკოლის წიგნები ითარგმნა ეგრისის მეფის მორთმეული ძღვენითა. ვითა საბუთი ფაზისის სკოლას იბერიელი ბერების მივლენისაო.

ექვი იბერიელი ბერების ფარული მონოფიზიტობისა, აიძულეხს უარსა, არ მიიღებენ თაბორის ზიქურათის გაწვრთნილ ბერებსა. მონოფიზიტთა ფარულ მიმდევრებად ჩათვლიანო. არ ენდობიან ჩვენივე თარგმნილ წიგნებსა. ბერძენთა პატრიარქი დაარწმუნებს კეისარსა. ჩვენი წიგნები მწვალებელთა შრომებად ჩათვლებაო.

ასე დავიცავთ ეგრისი მეფის პირობასა, მოვერეიდებით ბერძენთა კეისარის განაწყენებასა. ემისრები ბერძენი პატრიარქისა მოერიდებიან სტუმრობას თაბორის მთასა. დრო მოვიგოთო.

მოვითხოვთ ფაზისის სკოლის დაარსებასა.პატრიარქი მოერიდება ბერძენთა სახელსა,არ გახდება მონაწილე „მწვალებელთა“ სკოლის გახსნისა.ლათინთა მხარდაჭერა გვექნება.ახალი ზიქურათი ბინას დაიდებს ახალ ფაზისსაო.

მართლა მოუგია დრო პეტრე იბერსა.ბერძენთა პატრიარქის ბრძანებით,შეუწყვეტიათ მივლინება კეისრის ემისრებისა.აუკრძალიათ წიგნები იბერიელთა ზიქურათისა,ვითა მწვალებელთა ფარული მიმდევრებისა.გაუგიათ მონოფიზიტთა,არ მორიდებიან, ძალით დაუდგენიათ ვითა ეპისკოპოსი მათივე ეკლესიისა.

საკვირველია საქმენი უფლისა,დაუსრულებია თავისივე მოძღვრება „მწვალებელსა“.

ცოდნია არ მიიღებსო ბერძენთა ეკლესია იბერის მოძღვრებასა.მოუგონია ამბავი ძველი ბერძენი მოაზროვნის შრომების მიგნებისა:ქვაბს დაყუდებული ბერის კელიას უპოვიათ ძველი ხელნაწერი, დაწერილი ასურთა ენითა.ავტორი ძველი ბერძენი სწავლული,პავლე მოციქულის მოწაფე, დიონისე არიოპაგელი ყოფილა.არაფერი ვიცოდით,ახლა მივაგენითო.

ვითა მონოფიზიტთა ეპისკოპოსი მისულა კონსტანტინოპოლის დიდ კრებასა.დიდი პაექრობა გამართულა.თავიდან სასწორი თანაბარი ყოფილა.მერე დაუჯაბნიათ არიოზის მიმდევართა.

ბერძენთა ეკლესიის მესვეურნი გაკვირვებული ატყობინებდნენ პატრიარქსა:პეტრე იბერი მონაწილეა კრებისა,არ დაიცვა მოძღვრება არიოზისა.ბევრად სუსტნი გამოვჩნდითო.იბერიელი ხედავს.არიოზის მოძღვრების დასაცავად არ იზრუნაო.

თავისი ემისარი ჩუმად მიუგზავნია პატრიარქსა.სურდა დადგენა ჭეშმარიტებისა,მიზეზი იბერის დუმილისა.მიუტანია ამბავი კაცსა:ბერძენთა გაკვირვება უსაზღვროა.მონოფიზიტთა სახელოვანმა მოძღვარმა არ დაიცვა მათივე სწავლებაო.

უთქვია იბერსა:უჩემოდ მოახერხეს,დაჯაბნეს ბერძენთა მოპაექრენი.მიშველება ბერძენთა სჭირდებათო.ვერ მივეშველები,მათი ეპისკოპოსი არ ვარ, უფლება არ მაქვსო. თქვენმა ეკლესიამ მწვალებლად მიმიჩნია.ბერძენთა სახელით ხუმრობის უფლება დამრჩა.სხვა არაფერი შემიძლიაო.

ხუმრობითვე უკითხავს ბერძენსა:უფლება გქონოდა,მოახერხებდი მწვალებელთა დამარცხებასა. ბერძენთა ეკლესია გაიმარჯვებდაო.

უთქვია პეტრე იბერსა:დიდია ძალა უფლისა,კაცის ძალა მისივე ნებაა.ასე ისურვა თქვენივე პატრიარქმა,ნება მისიაო.ვიპოვე მოძღვრება ძველი ბერძენი წმინდანისა, ვთარგმნეთო. მონოფიზიტთა არ უხსენებიათ,არ იციან.ვეჭვობ არ დასჭირდეთო.

მიხვდა ემისარი პატრიარქისა.იბერიელი ითხოვდა ნებასა პატრიარქისა და ბერძენთა კეისარისა.

უთქვია ემისარსა:ვეცდები დავარწმუნო პატრიარქი,კეისარმა თანხმობა მოგცესო.მანამდე მინდა პირობა იბერთა მოძღვარისა, დუმილით დაელოდება პასუხსაო.

უთქვია პეტრე იბერსა:მონოფიზიტთა მიმდევარნი უჩემოდ უმკლავდებიან.მიშველება არ დასჭირდებათო.დრო გაუწელიათ ბერძენ მოპაექრეთა,კეისარმა ისურვაო.

მისულა პასუხი პატრიარქისა.მიუტანია ცნობა პეტრე იბერის ღაზის ეპისკოპოსად დანიშნვისა. უფლება დიოფიზიტთა სახელით პაექრობას ჩართვისა.

არავინ ელოდა იბერის გამოსვლასა.მონოფიზიტნი სჯაბნიდნენ დიოფიზიტთა.მწვალებლად მიიჩნევდნენ იბერსა.მისგან არავინ ელოდა დიოფიზიტთა დაცვასა.

გადახრილა სასწორი პაექრობისა.პირველივე დღეს განუკვეთიათ ეპისკოპოსი მონოფიზიტთა.

თურმე უთქვია იბერსა:ახლა ბევრად ადვილია ჩემივე მრწამსის დაცვაო.

თავისივე მოძღვრება გაუსაღებია,ვითა შრომები ძველი ბერძენი სწავლულისა.ვითა მპოვნელსა და მთარგმნელსა კარგად სცოდნია სწავლებანი ძველი მოძღვრებისა,არიოზის მოძღვრება პირწმინდად დამარცხებულა.ბევრად დიდი გამხდარა სახელი იბერიელი მოძღვარისა.ვითა მხსნელისა, ბერძენთა და ლათინთა ეკლესიისა.

კეისარის ბრძანებით დაუწყიათ გადაწერა დიონისე არიოპაგელის მოძღვრებისა.პეტრე იბერი ვითა დიდი სწავლულ,მოძღვარი არიოპაგელის მოძღვრებისა.

## 100. ამბავი შუამდინარეთის ზიქურათისა

თურმე მეფე ვახტანგის უეცარმა სიკვდილმა თავზარი დასცა წმინდა მიწას მოღვაწე ბერებსა. გაუგიათ ამბავი ვერაგობისა. ბიზანტიელთა მოისყიდესო. მისივე მსახურმა უღალატაო.

გაუზომავი ყოფილა ძღვენი გორგასალისა.

უთქვია პეტრე იბერსა: განსაცდელი დაგვიდგა. ბერძენთა სამიზნე იბერთა ზიქურათი გახდებო.

მანამდე გაუმხელიათ ბერძენთა, სურვილი მათივე პატრიარქისა: თაბორის მთას ბერძენ სწავლულთა სკოლის დაარსებისა. გაძლოლა იბერმა იკისროსო. სკოლის გამართვა მთის დასავლით მოხერხდება. ორი სკოლა სწავლულთა დიდი კერა გახდება. თაბორის მთა ახალი ბაბილონად იქცევაო. ბიზანტიელთა დიდება ახალ ბაბილონს იმსახურებსო. ჩვენი ერების კავშირი ბევრად მტკიცე იქნება. იბერიელ ბერებს მიეცემათ უფლება ბერძენთა ეკლესიას მსახურებისაო.

ზიქურათის მოწაფენი ეზიარებიან ბერძენთა მეცნიერებასა, ბერძენთა სკოლის მოწაფენი გაიცნობენ ძველი ზიქურათის ცოდნასაო.

თურმე მიუხვდა წმინდა მამა ბერძენთა პატრიარქის ცბიერებასა. სურვილი შორს მიმავალ ვერაგობად მიუჩნევია. ბერძენნი აპირებენ ზიქურათის ცოდნის დაუფლებასა. მერე თავისად დაიჩემებენ ზიქურათსაო. ბიზანტია ბევრად ძლიერია, მათი ქრთამი ბაბილონამდე მიადწევსო. ვითა მათივე მოძღვარსა, მაიძულებენ ბერძენი მოწაფენი მივილო ზიქურათსაო.

ცოდნია პეტრე იბერსა: ბერძენთა მიზანი საიდუმლო ცოდნის დაუფლება ზიქურათისა. მათი ბრძოლა ბევრად ვერავი გახდებაო.

კეისარი მოინდომებს იბერიელთა დამორჩილებასა. მერე ბერძენთა პატრიარქი დაიჩემებს იბერთა ზიქურათსაო.

მანამდე განუსჯია ზაქარია ლაზსა, მართებულია შიში იბერთა სკოლის მოძღვარისა.

ავტ: საჭურისი იოანე ქარაგმა მცველისა. ჭურ იბერთა ენას შესანახი სიძველისა. ჭური სინონიმი სიმდიდრისა. საჭურისი სახლი ჭურისა, იგივე სახლი სიმდიდრისა. ზაქარია ლაზი, იგივე იოანე საჭურისი ქარაგმა სიმდიდრის მცველისა. ვითა იბერიელი ქურუმი მცველი ძველი ზიქურათის ცოდნისა. მცველი ხელნაწერთა სამალავისა, მცველი მეფე ვახტანგის ძღვენისა. მცველი წმინდა მიწას იბერიელთა ტაძრების სიწმინდეთა.

მანამ კეისარი იბრძვის იბერიასა, ბიზანტიელნი მოითმენენო. მერე დაიწყებენ მათივე ვერავი გემის ასრულებასაო. უთქვია: ვეცადოთ, მოვასწროთო.

ბიზანტიელთა და სპარსთა ქიშპი იბერთა მეკავშირედ ვაქციოთო. ბიზანტიელნი ბოლომდე ვერ მოახერხებენ სპარსთა დამორჩილებასა. ვერცა სპარსელნი გაუმკლავდებიან ბიზანტიელთა მიწასა. მათი ქიშპობა ზავამდე მივაო.

ბოლომდე ვერცერთი მოახერხებს მეტოქის ძლიერების დამხობასო.

თუ ბიზანტიელნი იმარჯვებენ იბერიასა, თაბორის ზიქურათს დაემუქრებიანო. თუ სპარსელნი გაიმარჯვებენ, წმინდა მიწა ბიზანტიელთა დარჩებათო. მოინდომებენ იბერიელთა ტაძრების წაღებასა, არცა ზიქურათს დაინდობენო.

გზა გადარჩენისა, სპარსელთა მიწას ახალი ზიქურათის აგება. საფრთხე დაემუქრება თაბორის ზიქურათსა, ახალი ასურეთი შეიფარებსო.

ბევრი უფიქრიათ იბერიელ ბერებსა. თურმე ეძებდნენ უსაფრთხო ადგილს ახალი ზიქურათისა.

თავიდან უთქვიათ: ახალი ზიქურათის ადგილი რომის მიწას შევარჩიოთო. რომის პაპისა და ბიზანტიელთა პატრიარქის ქიშპობა არ დასრულდება. რომი მფარველობას გაგვიწევსო.

უთქვია პეტრე იბერსა: რომის დაცემა გაგრძელდება. ჩრდილოეთის და სამხრეთის ქიშპობა არ დასრულდება. ბიზანტია მონაწილე გახდება. არავინ იცის დასავლეთი რომის რომელი პროვინცია მიემხრობა ბიზანტიასა. რომის მიწა უსაფრთხო ვერ იქნებაო.

სპარსელთა ინტერესი იბერიის დაპყრობისა, მუდამ იქნება. სპარსელნი მეკავშირედ ჩაგვთვლიანო. მათი ქვეშევრდომობა დაიცავს თაბორის ზიქურათსაო.

ახალი ზიქურათი ძველი ასურეთის მიწას შევარჩიოთო. ახალი ზიქურათი დაბრუნდეს ძველი ზიქურათის სახლსა. სპარსეთის შუაგული. ბიზანტიელნი იქამდე ვერ მივლენო.

თურმე ზაქარია ლაზი გამგზავრებულა სპარსეთსა. კირქუკის ახლოს შეურჩევია ადგილი ახალი ზიქურათისა.

თურმე ათასი კილომეტრი ამორებდა იბერთა ორი ზიქურათის სახლსა. (529) კილომეტრი ხეთთა ზიქურათიდან კირქუკის სავანემდე.

კირქუკის ზიქურათის გეოგრაფია მსგავსი ურისა, იგივე ძველი ზიქურათის სახლისა.

თურმე ზაქარია ლაზი მისულა მეფის კარსა. დიდი ხელგაშლილობა გამოუჩენია სპარსთა ხელმწიფესა. იბერთა გეგმით უკისრია ხარჯები ახალი ზიქურათის სახლისა.

მამა იოვანეს უკისრია გაძლოლა ასურეთის იბერთა სავანისა, იგივე ასურეთის ზიქურათისა.

## 101. ამბავი ლაზიკეს ციხისა

ლაზიკა ქარაგმა კაცის და ქალის სახლისა. ზი ქარაგმა ზიქურათისა. ლაზიკა იგივე ძველი კოლხას სამხრეთი ზღვარია. საზღვარი დღევანდელი ხოფაა, იგივე ძველი კოლას ძირი. ხოფას სამხრეთი ზანთა მიწა ყოფილა. დღევანდელი ხუფათი (ხოფა), ფორჩხა (ბორჩხა), ხერთვისი, ხიჭაური, ჭვანის ხეობა, მთა ცივი საზღვარია ძველი კოლხასა.

ახალი წელთაღრიცხვით თითქმის ერთი საუკუნე გაუძლია კოლხასა. მერე საზღვრები შეცვლილა. კოლხა დასუსტებულა. სამხრეთი ლაზთა მეფეს წაუღია. დასავლეთი მთიანეთი გაუკაცრიელა. ვერ გამკლავებია მთიელთა თარეშსა. სამხრეთ-აღმოსავლეთი მთიანეთი ზღვამდე წაუღია მეფე ფარსმანსა.

ფარსმანი მოუკლავთ მოლალატეთა. ეგრისი და კოლხა წაუღია რომსა.

მეფე მირიანის შემდგომ დიდი იბერია დამარცხებულა. მეფე მოუკლავთ ბრძოლასა. ტახტის მემკვიდრე გარიდებია იბერიასა, ვითა ხიზანი მისულა ეგრისსა, კოლხას მთიანეთსა. კოლხთა მეფეს ვერ დაუძლევია მთიელნი, იბერთა ხიზანს უკისრია დაცვა კოლხას მთიანეთისა. ეგრისი კოლხას მთიანეთსა რქმევია.

ზანთა სამეფოს აღმოსავლეთი დაუკავებიათ ბარბაროსებსა. მეფეს ხიზანი დაუსახლებია ზღვის სანაპიროსა, ვითა მცოდნენი ზღვაოსნობისა. ლასი მებადურთა მფარველია. ლაზი მეთევზეთა ჩამომავალი. თურმე ლაზთა წინაპარს მთელი სანაპირო დაუკავებია პონტოს ზღვისა. მერე დამარცხებულა აღმოსავლეთის ბარბაროსებთან. თანდათან ჩრდილოეთით დაუხვევიათ.

ლაზიკას საზღვარი დღევანდელი რიზეს სამხრეთით (100) კმ. ყოფილა.

რიზე ეგრისის ქურუმთა ხელი ყოფილა. ქარაგმა ზემო ხერია, იგივე პირი ხერისა. ისპირი იგივე პირია ისიდას სახლისა.

თურმე დღევანდელი რიზეს დასავლეთ ბერძენთა ძველი სამხედრო ბანაკი ყოფილა. მერე ლაზთა მეფეს ციხე აუგია.

რიზეს ყურე ძველი ვითა ნავმისადგომი. თურმე ციხე იცავდა ლაზეთის სამხრეთსა.

ბერძენთა და სპარსთა ქიშპობის დროს, ციხე სპარსელთა სამიზნედ ქცეულა.

თურმე პირველი როდოპოლისი ქუთაისის ახლოს, დღევანდელი ვარციხე, ყოფილა.

პეტრე იბერი ვითა მოწაფე ბერძენთა იმპერატორის კარსა. მასვე გაჰყოლია ზაქარია ლაზი, მამა იბერიისა. გაუგია განზრახვა იმპერატორისა. თურმე აპირებდა რომაელთა მიწების წაღებასა. ცოდნით ცნობები სტრაბონისა, ძველი იბერიისა და კოლხას სამეფოსა. საზღვრები ძველი რომისა.

ბევრი უფიქრია მამა-შვილსა. სახიფათო გამოსავალი უპოვია ბერძენთა იბერიელ მოწაფესა.

ახალი სახელებით შეუცვლია საზღვრები ძველი რომისა.

ძველი ფაზისის სახელი დარქმევია დღევანდელ ჭოროხსა.

ტელეფისი დარქმევია დღევანდელ პეტრას ციხესა.

ნესოსი დღევანდელი აფსაროს-გონიოს ციხესა.

როდოპოლისი რიზესა.

ლაზიკე ეგრისსა. ლაზიკე ვითა ძველი სახელი ეგრისისა. ვითა ბერძენთა შეცდომა სახელისა, ლაზიკა. შეცვლა ძველი საზომისა. სტრაბონის საზომით ფარსანგი (30) სტადიონი, იბერიელთა საზომით (21).

პროკოფი კესარიელმა იცის ამბავი ახალი და ძველი საზღვრებისა. ვერ „გარკვეულა“ ლაზიკესა და ლაზიკას გეოგრაფიაში. ეგრისის გეოგრაფიის აღწერის დროს იყენებს ლაზიკეს, ლაზეთის აღწერისას ლაზიკას. თითქოს უცოდინარობით მოსდის, ეყრდნობა ცნობებს ბერძენი სარდლებისა.

თურმე კონსტანტინოპოლის დიდი კრება გახდა საფუძველი, პეტრე იბერის სახელის ზენიტისა. პეტრე იბერი გამხდარა მრჩეველი ბიზანტიელი კეისარისა.

ორ იმპერიას შორის საუკუნო ზავის დადების ადგილად როდოპოლისის არჩევა, შესაძლოა იბერის სახელთან იყოს კავშირში. იცოდა იბერმა საუკუნო ზავის ადგილი დარჩებოდა ისტორიასა. ძველი როდოპოლისის ადგილს დაივიწყებდა ისტორია. მითუმეტეს ეგრისის მეფე შეუცვლიდა სახელსა. ამით მოიგებდა ლაზიკას მეფე. სტრაბონის ცნობა რიზემდე გადაიწევდა, გადაიწევდა რომაელთა საზღვარი. ცხადია ახალი როდოპოლისის ჩრდილოეთით ბიზანტიელთა უფლებები ვერ გავრცელდებოდა.

ეგრისი ბიზანტიელთაგან თავისუფალი ხდებოდა. კოლხას ეგრისი და ლაზიკას ნახევარი დაიცავდა. დიდი იბერია გახდებოდა მოკავშირე ეგრისისა და ლაზეთის ჩრდილოეთისა.

ამიტომ დაუთმო ამხელა ადგილი „ბერძენმა“ სწავლულმა ლაზიკესა და ლაზიკის აღწერას.

მერე ეგრისის საზღვარი რიზემდე გადაწეულა.

## 102. ამბავი იბერის მრწამსისა

თურმე წმინდა ანდრიას ქადაგების მერე გასულა (24) წელი. იბერიას მეფე ფარსმანის ხანა დაწყებულა. ფარსმანი ქურუმნი იბერიული ზიქურათისა. მისივე დიდი პაპა მოგვი აღმოსავლეთისა. მოგვები ყოფილან ქურუმნი ზიქურათისა. დიდი პაპა ვითა ქურუმნი მისულა ბეთლემსა.

თურმე მოგვებმა ამცნეს სამყაროს მოვლენა მესიისა. დასაწყისი ქრისტეს ერისა.

მამა ქველისა **ამაზას პირველი**, იგივე ქსეფარნუგი. იგივე ქურუმნი ზიქურათისა. (39-62). დაბ (9)წ.

პაპა ქველისა **მითრიდატე პირველი** (27-39). დაბ. მკ/წ(86)წ

წმინდა ანდრია მისულა მითრიდატეს კარსა. ცოდნია ამბავი აღმოსავლეთის მოგვებისა. მიუღია უფლება ქადაგებისა. იბერთა მეფეს ცოდნია ამბავი ბეთლემის ვარსკვლავისა, ამბავი უფლის მოვლენისა. დასაწყისი ქრისტე მაცხოვრის ერისა.

ცოდნია მამისგან დაიწყება ქადაგება ქრისტეს მოძღვრებისა. დრო დგება ახალ რჯულზე მოქცევისაო. თურმე თვითონვე უხილავს ჯვარცმა მაცხოვარისა. ცოდნია მოწაფენი მაცხოვარისა. ცოდნია დედა, წმინდა მარიამი. ცოდნია სწავლებანი ახალი რჯულისა.

ჯვარცმის მერე ექვსი თვე გაუძლია, მალევე მომკვდარა (78) წლისა.

თურმე ანდერძი დაუტოვა მემკვიდრესა. ვერ მოგესწრები, ვიცი მოვლენ მოციქულნი მაცხოვარისა, იქადაგებენ ქრისტეს რჯულსა. მინდა შენივე მემკვიდრე პირველი მიმდევარი იყოს ქრისტეს რჯულისაო. ვიცი ვითა მეფეს გაგიძნელდება ახალი რჯულის აღიარება, ჩუმად აღიარე რჯული მაცხოვარისა, ცოლი და შვილი ჩუმად მონათლო.

მითრიდატე მალევე გარდაცვლილა. თურმე იგივე უანდერძა თავისივე მემკვიდრესა.

რომისა და სპარსთა ქიშპობას მოჰყოლია შფოთი იბერიასა. თურმე დადგა ორმეფობის ხანა იბერიისა. **ამაზასპი**, მოკავშირე რომისა. დეროკი მიმდევარი მაზდეანობისა, მოკავშირე სპარსთა მეფისა. მეფე **ამაზასპს** დაუცვია ანდერძი მამისა, (10) წლის მემკვიდრე და ცოლი, ნაზიგა ჩუმად მოუნათლოა.

თუმე მეფე ფარსმანი პირველი მიმდევარი ყოფილა ქრისტეს რჯულისა. მოუნათლოა მოციქულსა, წმინდა ანდრია პირველწოდებულსა. **ქველი** სახელი პეტრე იბერისა.

მალევე მონათლულა დედა ფარსმანისა.

**ამაზასპის** მორჩილნი დასავლით ვიდრე ზღვარი რომისა. ზანთა მიწა ზანთა მეფისა, მთა ცივი. მიუცია უფლება ტაძრების აგებისა.

ფარსმან ქველის დროს ათასამდე ქრისტეს რჯულის მიმდევარი ყოფილა აღმოსავლეთ იბერიასა. ათამდე ტაძარი აუგია მეფესა.

ზიგანა ხელი იბერისა. ქარაგმა ფარსმან ქველის დედისა.

ნიგალი ქარაგმა იბერის ზიგანისა, ხელი ყოფილა ზაქისა.

დედა ფარსმან ქველისა, ვითა პირველი ქალი მონაზონი იბერიისა, მისულა ქალდეას, ვითა ქადაგი ქრისტეს რჯულისა. დამარხულა ქალდეასა.

თურმე ქველის დედის სამარხი აურჩევია ზაქარია ლაზსა, ვითა ადგილი ახალი ზიქურათისა.

თურმე ქალდეას მიუგნია სამარხი პეტრე იბერსა სამარხი მეფე ფარსმანისა. ჩუმად მოუხერხებია ნეშტის გადასვენება იბერთა მიწასა (539). ასაკი (498) წელი პირველი ქრისტიანი იბერიელი მეფისა.

(282) წელი მეფე მირიანის მოქცევამდე.

ქრისტეს პირველი ტაძარი წმინდა ანდრია მოციქულს დაუდგამს თავარის თავსა. მერე სოფლისთვის ანდრია დაბა დაურქმევია ზაქსა. მერე უთქვია დიდი დაბა იქნება მოციქულის საკადრისი სახელიო.

მეორე სალოცავი ყოფილა თეთრობის დასავლით, მთის თავსა. მესამე ვერანის სამხრეთ-დასავლით მაღალთასა.



### 103. ამბავი თაბორის ზიქურათის დაკარგვისა

თურმე მეფე ვახტანგის სიკვდილმა დაამძიმე ხვედრი იბერიელთა. იბერია დიდი განსაცდელის წინაშე ყოფილა. ძლევამოსილი მოკავშირის დაკარგვამ დაუცველი დატოვა ეგრისი. იბერია, ლაზიკა და ეგრისი ქცეულა ასპარეზი ორი იმპერიის ქიშპობისა.

კოლხას თავიდანვე ბერძენთა მოკავშირეობა აურჩევია.

ზანთა ზეგანის აღმოსავლეთი მთიანეთი ზავის მიხედვით დარჩენია სპარსთა მეფესა. ბიზანტიელთა უპირატესობამ ზღვაზე მოიტანა გავლენა ზანთა ზეგანის დასავლეთ მთიანეთზე.

ეგრისელთა და იბერიელთა ბრძოლა ბიზანტიელთა წინააგმდეგ განწირული ყოფილა. ბერძენთა გარნიზონები გამაგრებულა კოლხას. ეგრისის ზურგი დაუცველი დარჩენილა. სამხრეთიდან ბიზანტიელთა გამუდმებული საზღვაო იერიშები ასუსტებდა ეგრისს.

ლაზთა მეფეს ველარ გაუძლია, დამორჩილებია ბერძენთა. რიზეს (როდოპოლისი) ჩრდილოეთი რგებია ეგრისის მეფესა.

მერე გუბაზ მეორე მეფედ დაუმტკიცებია ბიზანტიის კეისარსა. მერე მთელი კოლხა ეგრისის სამეფოს მიერთებია.

ბიზანტიას მცირე ხნით დაუთმია ეგრისი. აჯანყებულთა, განუდევნიათ სპარსელნი. მერე ეგრისი ბიზანტიელთა ვასალად დარჩენილა.

ზანთა ზეგანის სამხრეთ-აღმოსავლეთი მთიანეთი წაუღიათ ბიზანტიელთა.

თაბორის მთას დიდი განსაცდელი დადგომია იბერიელ ბერებსა. თურმე ლათინთა ეკლესია ეცილებოდა ბერძენთა, ორივე მტრობდა იბერიელთა.

მანამ პეტრე იბერი ყოფილა, სახელი იცავდა თაბორის ზიქურათსა. ლათინთა ეკლესია ერიდებოდა პირდაპირი იერიშის მიტანასა, ვითა ბერძენთა გავლენის ქვეშ მყოფი სკოლისა.

თურმე სიცოცხლის ბოლომდე პეტრე იბერი სათავეზე ედგა, კრეტას ბერძენ სწავლულთა სკოლასა. მფარველობდა თაბორის იბერთა ზიქურათსა.

ვიდრე მოკვდებოდა ბერები ჩუმად უხმია იბერსა. დაუხურია კარი სამალავისა იბერიელი ბერების სამარხსა.

ცოდნია ცბიერება ბიზანტიელთა და ლათინთა. თაბორის მთა მათი ქიშპობის ასპარეზად იქცევას. იბერიელი ბერების შრომების გადარჩენას გაყოფით შეძლებთო. ბერმა თავისი შრომის სამი ასლი გააკეთოსო. ერთი იორდანეს, მეორე კირქუცსა მესამე ფაზისის სკოლასა.

სამარხის სამალავი დაივიწყეთო. იბერიელ ბერთა ძველი შრომები თაბორის ზიქურათს გაარიდეთო. ნაშრომს სამი ბინა მიუჩინეთო. კირქუცი იყოს, ვითა მთავარი სახლი ზიქურათისა. ლათინთა და ბერძენთა ხელი ვერ მისწვდება. ასურელი მამების სახელით იღვაწეთ კირქუცსა. ასირიელ მამათა სახელი დაიცავს იბერიელთა. ეცადეთ თქვენთა შრომები ქარაგმით დაიცვათო. ასე შეძლებთ დაცვას იბერთა ზიქურათისაო.

დიდი განსაცდელი ექნებათ იბერიელ მამებსა. მოღვაწეობა ბერძენთა სახელით მოუწევთო. ეცადეთ შრომები ზიქურათმა დაიცვასო.

მთავარი დაცვაა ზიქურათისა. ზიქურათი შეძლებს იბერიელთა დაცვასა. ბოლომდე ეცადეთ იბერიელთა მოწაფენი მოიწვიოთო. მათი ხელი დაიცავს იბერიელთა სახელსაო.

დიდია ძალა უფლისა. მოვა დრო დაფარულის გამოჩენისა. მანამდე თქვენი მისია დაცვაა ძველი ზიქურათისაო.

ვიცი ბერძენნი დაიჩემებენ ჩემივე სახელსა. ვითა მათივე ეპისკოპოსისა, ვითა მათივე სწავლულსა. ნუ ეცდებით ჩემივე სახელის დაცვასა, ვითა იბერიელისა, დიდ ვნებას მოგიტანთო. დაე ბერძენთა დაიცვან სახელი მათივე სწავლულისა. ჩემივე შრომები დავიცავი ძველი ქარაგმითა. მოვა დრო ზიქურათი თვითონ გამოაჩენს სიმართლესა.

ვითა ბერძენთა ეპისკოპოსმა ანდერძი დავუტოვე მათივე ეკლესიასა.

ვითა თქვენივე მოძღვარი გიბარებთ: ჩემივე ხორცის შესანახი იბერიელი ბერების სამარხსა იყო-  
სო. ვითა შვილმა, ბოლომდე დავიცავი სახელი იბერიისა, ჩემივე მისია იბერიელთა სამსახური  
იყო.

ვითა ბერძენთა ეპისკოპოსსა, მიმბარებენ თავისივე ეკლესიის სამარხსა. ეცადეთ ჩემივე ანდერძი  
დაიცვათო.

დიდია ძალა უფლისა. დიდი განსაცდელი საწინდარია იბერიელთა სახელის გაბრწყინებისაო.

თურმე თაბორის მთა გაუყვიათ ბერძენთა და ლათინთა. დასავლეთი რგებია ლათინთა ეკლესიასა.  
აღმოსავლეთი ბერძენთა.

თურმე იბერის სიკვდილის მერე (131) წელი გაუძლია. მერე არსებობა შეუწყვეტია თაბორის ზიქუ-  
რათსა.

ცამეტი ასურელი მამის სახელით მოსული ბერები, ყოფილან მოწაფენი კირქუკის ზიქურათისა.

დაუცვია ზიქურათსა შრომები იბერიელი მამებისა. ქარაგმა გასაღებია მათივე სახელისა. თურმე  
ქარაგმა მალავდა ფსევდო დიონისე არიოპაგელისა და პროკოფი კესარიელის სახელსა, ვითა ხელსა  
პეტრე იბერისა.

მოვიდა დრო, ქარაგმა ახდის ფარდას აქამდე დაფარულსა, გამოაჩენს ღვაწლსა იბერთა წმინდა  
მამებისა.

დიდია ძალა უფლისა, მოდის დრო გაცხადებისა, ქარაგმის გაღვიძებისა.

#### 104. ამბავი ცამეტი ასურელი მამისა

მოუხერხებია პეტრე იბერსა დაარსება ასურეთის ზიქურათისა. ბიზანტიელთა ვერაგობას გარდებია სახლი ახალი ზიქურათისა. ძველი ასურეთი ყოფილა მიწა სპარსთა მეფისა. ცოდნია პეტრე იბერსა, ვერ მისწვდება ვერაგი ხელი ბერძენთა კეისარისაო. ასი იბერიელი ბერი მისულა კირქუცის სავანესა. მიუტანიათ ასლები თაბორის ზიქურათის წიგნებისა. თავიდანვე უთქვია იბერსა, მეორე ზიქურათი იქნება ვითა სახლი ასურელი მამებისაო. თვითონვე შეურჩევია ბერები მცოდნენი ძველი ასურთა ენისა. ასურელი მამების შრომები თავიდან ასურთა ენით ყოფილა. მერე სხვანი თარგმნიდნენ სხვა ენასა. ბერძენთა პატრიარქი დამუქრებია ძველი ფაზისის რიტორთა სკოლასა. მოუხერხებიათ სკოლის დაარსება ახალი ფაზისის მარცხენა სანაპიროს, აფსარის ციხესა. იგივე ციხეს ახალი ნესოსისა. მოუხერხებიათ გადარჩენა ძველი ფაზისის სკოლის ხელნაწერებისა. თურმე ჩუმად დაუტოვეს ბერძენთა წიგნები მონოფიზიტთა მოძღვრებისა. გამართლებულა გეგმა იბერიელთა მოძღვარისა. მონოფიზიტთა ფარულ მიმდევრად ჩაუთვლია ბერძენთა პატრიარქსა. დაუცვია ბერები ვერაგული ხრიკისაგან. პატრიარქს მანამდე მოუთხოვია ზიქურათის იბერიელი ბერების გამწესება თავისივე ეკლესიამონასტრებსა. ვერაგი გეგმა იბერთა ზიქურათის წაღებისა. პეტრე იბერი ცრუ სწავლებათა მიმდევრად ჩაუთვლია. მთავარი მიზეზი იბერიელი ბერების ნდობის დაკარგვისა. ხერხი იბერთა ხარისა, გზა ზიქურათის გადარჩენისა. იბერიელ ქურუმთა მთავარი საზრუნავი გადარჩენა ძველი ზიქურათისა. თაბორის სკოლა, ვითა ხელი ზანთა ქარაგმისა. ცოდნია მისია იბერთა მოდგმისა, ვითა დაცვა, ვითა სამალავი ხეთთა და ზანთა ცოდნისა. იბერიელი ბერების განწესება ბერძენთა ეკლესიას იქნებოდა საფრთხე ცოდნის გამხელისა, იბერთა მიწა სახლი ხეთთა და ზანთა ხარისა. სახელის დაცვა მისია მათივე მოდგმისა. ბერების საზრუნავი იბერთა მიწა ყოფილა. ზიქურათის ტაძრების აგება მისია იბერიელი ბერებისა. ცამეტი ასურელი მამა ცამეტი მწირი, ცამეტი მეუდაბნოე მდუმარე ბერი. მისია ნება მათივე მოძღვარის, პეტრე იბერისა. ხელი ძლევამოსილი მეფისა, პირობა ვახტანგ გორგასალისა. ცოდნია მეფესა ვერაგი ზრახვა ბიზანტიელთა და სპარსთა მეფისა. ხაზინის ნაწილი მიუტანია უდაბნოსა. მასვე უბრძანებია აგება იბერთა ეკლესია-მონასტრებისა. მამა პეტრე იბერისა, ზაქარია ლაზი, მცველი უდაბნოს ხაზინისა. საჭურისი ქარაგმა საჭურჭლის მცველისა. გორგასალი გაუწირია მოლაღატის ხელსა. თურმე მეფის ხელი მისივე სახელით აგრძელებდა იბერთა ტაძრების აგებასა. იცავდა იბერიელთა ზიქურათსა. წმინდა მამები თვითონვე შეურჩევია იბერსა. მისია აგება იბერთა ახალი ტაძრებისა. ცამეტი ქარაგმა იბერის ფარული ხელისა. წრე იბერის ქარაგმისა. ცამეტი ასურელი მამა, ვითა მწირი უდაბნოსა, ვითა დაყუდებული ბერი იბერთა მიწასა: ზედაზნელი, მღვიმელი, გარეჯელი, ალავერდელი, მარტყოფელი, წილკნელი, ნეკრესელი, ულუმბოელი, ხირსელი... მათი ღვაწლი ბევრად დიდი ყოფილა. ასურელ მამათა მისია ზანთა და ხეთთა მიწას ყოფილა. მისულან იბერიასა, ალბანთა მეფის სახლსა. ტაძრების აგება უკისრია ლაღატით მოკლული იბერთა მეფის ხელსა. იბერიელთა მოძღვარსა, პეტრე იბერსა, მისივე მოწაფეთა და მიმდევართა. მანამ არაბთა შემოსევა დაიწყებოდა უღვაწიათ იბერიული ზიქურათის მიმდევართა. მანამდე ყოფილა ხელი იბერიელთა წმინდა მეფისა, ვახტანგ გორგასალისა. უდაბნოს სამალავი მიუგნიათ არაბთა. გადარჩენილა სამალავი ძველი ლაზეთისა. ცოდნია ხანძთელსა სამალავი ზიქურათისა. მასვე დაუწყია მეფე ვახტანგის სახელით აგება წმინდა ტაძრებისა.

მტარვალის ხელით დაქცეული აღუდგენია მეფე ვახტანგის წმინდა ხელსა.

თურმე ბევრი ტაძრის ფრესკა მალავს დიდი მეფის სახელსა.სახელსა ორი დიდი იბერიელისა:  
წმინდა მეფე ვახტანგისა და წმინდა ბასილი დიდისა,იგივე პეტრე იბერიელისა.

თურმე დასრულდა აგება ბერძენთა მთავარი ტაძრისა,აია-სოფია.იმავე წელს დაწყებულა მისია  
წმინდა ასურელი მამებისა.

(13) ასურელი ქარაგმა,თარიღი ასურელ მამათა მისიის დაწყებისა.

(13) ირ-იბერია.ას(100) ქარაგმა სიცოცხლე კაცისა.(ურელი) ქარაგმა ხეთთა ძველი ზიქურათის სახ-  
ლისა (ურ).(ელი) ხელია ზეციური ხარისა.(24-(5)-13).თარიღი (537).

## 105. ხელი ახალი იბერიული ზიქურათისა

თაბორის იბერთა ზიქურათს უკისრია აგება იბერთა სალოცავებისა და სკოლებისა. თურმე მეფე გორგასალს შეუწირავს აურაცხელი ძღვენი. მისი სურვილი იბერთა ზიქურათის დაარსება და იბერთა ტაძრების აგება ყოფილა.

მეფე ვახტანგის სიცოცხლეშივე შეუძენიათ იბერიელთა მთა თაბორისა.

აუგიათ იბერიელ სწავლულთა სკოლა, იგივე იბერთა ახალი ზიქურათი. პირველი ტაძარი მდინარე იორდანეს ახლოსა. მოუსწრიათ ახალი იბერიული ნიშანის დასრულება.

მეფის სიკვდილის მერე (45) წელი უცოცხლია პეტრე იბერსა. (5) წელი ზაქარია ლაზსა.

(529) წელს დაუსრულებია ახალი იბერიული ქარაგმა პეტრე იბერსა. იბერიული ქარაგმის ბრუნვის ნიშანი 13(ირ). ქარაგმა იბერია.

უთქვია იბერსა: ცამეტი ახალი ზიქურათი აიგოსო ზანთა ზეგანსა, ცამეტი ხეთთა მიწასაო.

სამი ზიქურათი იბერისა: მთა თაბორისა, მთა იორდანეს მდინარესა, მთა ასურეთისა, იგივე კირქუკისა. ერთი ზიქურათი ეგრისისა, იგივე ფაზისისა. ცამეტი ზიქურათი დიდი იბერიისა: 1). ზედაზენი (533), 2). მღვიმე (534), 3). ხირსი, (536), 4) ბოლნისი, სიონი (536), 5). გარეჯი (537),

-გარეჯი- ზაქის ქარაგმით (გარ) (314. იგივე (3, 14) (π). ეჯის ქარაგმა ძველი ზიქურათით 65(42; 5) ველი. ზაქის ქარაგმით გარეჯი: პი(რ)-ველი ყოფილა. პირი იგივე პირობა კაცისა. ველი კაცის პირობისა. მეფისთვის მიცემული პირობა პეტრე იბერისა. (გ-არ) სხვაგვარად გ-ას(3; 100) 103. ძველი ზიქურათით პირდაპირი მნიშვნელობა ეჯი(6543). გარ ეჯი 673 929(103\*6543). მანძილი დავით გარეჯის ლავრასა და კირქუკის იბერთა სავანეს შორის. (65)ის კაბალა (11). იბერის ქარაგმით (ა). გარ(π). ეჯი(ა). ქარაგმა პეტრე იბერის ანდერძისა. ნიშანი ლუსკუმისა(πა).

(გარ) და (ბან)ი-ქარაგმა ორი კაბალისა: (314) და (215). ერთად (529). თარიღი ახალი იბერიული ზიქურათისა. პირველის ქარაგმა პირველი იბერიული ზიქურათი თაბორისა. ასაკი იბერისა 215(678;- 463).

6). ნეკრესი (537), 7) მარტყოფი (538). 8) ალავერდი (538).

პეროზ I-ის ხანა (459). ოცი წელი 4(79). (სა) ქარაგმა სახლია (სი) 4. საზე(4+7+5)ჯამი თექვსმეტი (სა) 4 და ზე(75). ჯამი (79). პეროზის ზეობის დაწყება (459) +(79). თარიღი (538) წელია. (15) წლის შემდგომ (553) განხეშორა ვი(27). გავიდა (27) წელი. 526(553-27).

9). გერგეთი (539), 10). ყინწვისი(541), 11). წილკანი(542), 12). ულუმბო (542), 13). ტიმოთის ლავრა(543), (543) წელია თარიღი იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მეორედ აგებისა, იგივე გაზრდისა.

კიდევ (13) ტაძარი აგებულა ალბანთა მეფის მიწასა, ძველი ხერი.

ზანთა ზეგანი, ძველი მესხეთი, ქართლი, კახეთი. წუნდა (540),

პეტრე იბერს თავისივე სიცოცხლეში მოუსწრია (43) ტაძრის აგება. ამათგან სამი მთავარი ზიქურათი, იგივე იბერიელ სწავლულთა სკოლა.

**შენიშვნა:** ცნობები ქურუმთა ქარაგმისა, თარიღები და სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები თარიღთა სიზუსტე, სხვადასხვა წყაროს ათასგზის გადამოწმებით დგინდება. ქურუმთა ქარაგმა ეტალონია სიზუსტისა. ქარაგმით დაწერილი ყველა წყარო ავსებს, სრულყოფილს ხდის ცნობასა. ძველი ტაძრების აგების თარიღები მოცემულია რამოდენიმე წყაროს შეჯერებით. თუ თარიღების წაკითხვა სწორია, შემდგომში მიკვლეულმა ყველა წყარომ, ქურუმთა ქარაგმამ უნდა დაადასტუროს თარიღები. შესაძლოა წყარო ასეულობით იყოს. ყველამ უნდა დაადასტუროს თარიღის სიზუსტე. მაგ: თარიღი გარეჯისა. ხელნაწერები, მინაწერები, ეპიტაფიები, ბარელიეფი, ფრესკა ნაყოფი ქურუმთა ხელისა, იგივე ცნობა ჩვენზე ისტორიისა. მინაწერების არასრული ტექსტი შესაძლოა იყოს ქარაგმა ქურუმთა ხელისა. მტკიცება „ვერ გაუძლო დროსა“; სულ მცირე, გადასამოწმებელია.

## 106. ამბავი ფაზისის სკოლის მოწაფეთა წვრთნისა

ზაქარია რიტორი აღუზრდია ფაზისის რიტორიკულ სკოლასა. რიტორთა სკოლა ხელი იბერიელ ქურუმთა. მთელს აღმოსავლეთში გასულა სახელი სკოლისა. თურმე რომაელთა კეისარი ყოველ წელს აგ ზავნიდა ასამდე კაცსა. ყველა წელს ასი კაცი მოდიოდა სპარსთა ხელმწიფის ხარჯითა.

სპარსელთა ზოროასტრული სკოლა ფაზისის სკოლის აღზრდილთა ხელი ყოფილა. სწავლების ფორმა დაუყვიათ სკოლასა. განსხვავებული ყოფილა დრო წვრთნისა.

თურმე ხუთ წლამდე პატარას წვრთნიდა მღვდელი ან დიაკვანი სოფლისა. ხუთი წლის პატარას ცოდნია ნიშანი დამწერლობისა, იგივე ანბანი. ტექსტის ჩქარი კითხვა. მცირე ცოდნა კალენდარისა. ასამდე რიცხვთა დაწერა. ოცამდე რიცხთა ანგარიში. ხუთამდე საზომი ერთეულის განსხვავება, მათი გამოყენება ოცამდე რიცხვთა სისტემაში. ადგილის მხარეთა გამოცნობა. წელიწადის თვეთა რაოდენობა, კვირის დღეები. მცირე სავედრებელი ტექსტები.

თურმე პატარას გაწვრთნას სამი წლიდან იწყებდნენ. თავიდანვე აჩვევდნენ ჯირითსა.

ცოდნით ფასი იბერიული ცოდნისა. პატრონსა ხუთი წლის ბაღლისა დასრულებული ჰქონია სამ-ზადისი რიტორთა სკოლას მიყვანისა.

თავიდან სამასი გამორჩეული პატარა სამი თვე დარჩებოდა ზიქურათის სახლსა.

სამი თვე ჰქონიათ მოძღვართა დრო გამოცდისა. სამ-სამი ჯგუფი ჰყოლია მოძღვარსა. ოდენობა პატარებისა (75). თითო კრებული (25). ხუთი პატარა ჯგუფი, იგივე (ჯი).

თავიდანვე პატარები ირჩევდნენ ხელმძღვანელსა. ხუთი პატარა ხელმძღვანელი ირჩევდა დიდ ხელმძღვანელსა. მოსწავლეს სკოლისა.

სამი თვის განმავლობაში მოძღვარი აკვირდებოდა პატარებსა. მერე ვალი ხუთისგან ერთის გამორჩევისა. სამი კრებულისგან რჩებოდა სამი (ჯი), იგივე პატარა ჯგუფი (15).

თხუთმეტივე შეგირდი ერთი წელი ბარდებოდა მათივე გამომრჩევისა. მერე მოწაფეთა მიბარება სხვა მოძღვარსა.

თუ ახალი მოძღვარი გამოაჩენდა წინა მოძღვარის ნაკლსა გამორჩევისა, უფლება ჰქონდა უარისა. თურმე იტყოდა: გაწვრთნა ფუჭი მგონიაო, ისჯებოდა მათივე გამომრჩევი მოძღვარი. ისჯებოდა მოწაფე, ხელმძღვანელი კრებულისა.

სამი წელი სკოლის შეგირდი რჩებოდა ხელმძღვანელი თხუთმეტი პატარა მოწაფისა. მერე იწყებოდა ახალი გადარჩევა მოწაფეთა. ხუთიდან გამოარჩევდნენ ერთსა. თხუთმეტი მოწაფე მომდევნო ორი წელი ბარდებოდა ზედა საფეხურის მოძღვარსა.

ათი წლის მოწაფეთა გამორჩევა ევალებოდა დიდმოძღვარსა. სამი თვის მერე გამოარჩევდა ათ მოწაფესა.

მერე ხუთი წელი თვითონვე წვრთნიდა. მასვე ევალებოდა გამორჩევა ხუთი მოწაფისა.

თხუთმეტი წლის შეგირდი ხვდებოდა პირველი საფეხურის ქურუმის ხელსა. პატარა ოსტატი რქმევია შეგირდსა.

ხუთი წლის მერე მეორე საფეხურის ქურუმი იწყებდა გაწვრთნას შეგირდისა. მას ოსტატი რქმევია.

ექვსი წლის მერე ახალი წვრთნა მესამე საფეხურის ქურუმისა. პატარა ხარი სახელი შეგირდისა.

მერე გამორჩევა სწავლული შეგირდისა. თხუთმეტი წლის მერე სწავლული დაერქმეოდა შეგირდსა. ასაკი (42) წელი. მოძღვარი ზაქი, იგივე დიდი ქურუმი ხდებოდა.

(18) წლის მერე სახელი ზაქი დაერქმეოდა სწავლულსა.

მომდევნო (18) წელი ზაქის მოძღვარი კაცი ყოფილა, სახელი ქურუმი პირველი საფეხურისა.

თურმე ქურუმთა ჰქონიათ უფლება გამომრჩეული შეგირდისთვის (55) წლის მერე მიეცათ სახელი ქურუმისა.

(78) წლის შემდეგ კაცის სახელი ყოფილა ასი. სახელი სიცოცხლის ბოლომდე ჰქონია.

ფაზისის რიტორთა სკოლას (20) ქურუმი ჰყოლია. (60) ხეთთა ზიქურათსა.

თურმე ყოველწლიურად ხუთი წლის (300) პატარა მიჰყავდათ ფაზისის რიტორთა სკოლასა.  
უცხო მოწაფეთა გამოსარჩევი ასაკი (10) წელი ყოფილა. (8) წელი ცოდნის დაუფლებისა.  
თუ უცხო მოწაფე მონდომებდა გაგრძელებასა, უნდა მიეღო ქვეშევრდომობა იბერთა მეფისა.  
თურმე უცხო მოწაფე სწავლის დასრულებამდე ვერ დატოვებდა სკოლასა.  
თუ უცხო ქვეყნის მეფე ვერ გადაიხდიდა, ან უარს იტყოდა ხარჯის გაღებაზე, მათი შეგირდი  
კარგავდა მეფის ქვეშევრდომობას. ხდებოდა ქვეშევრდომი იბერთა მეფისა.  
თუ გამორჩეულ ცოდნას გამოაჩენდა უცხო შეგირდი, მეფის ხალხი სთავაზობდა მისივე ხარჯის  
გასტუმრებასა, მეფის ქვეშევრდომობასა.  
თურმე ქურუმნი არჩევდნენ იბერთა ქვეშევრდომის გაწვრთნასა.

## 107. ამზავი ხეთთა სახლისა

ასურეთის სამეფოს დასავლეთი, ძველი ბაბილონი, ქრისტემდე 2000 წლით ადრე დაულამქრიათ ზანებსა. თურმე ააოხრეს აღმოსავლეთი ბაბილონის ქალაქები, დღევანდელი სირია. გადაწვეს ასურეთის დიდი ქალაქი (დაკი). დღევანდელი დამასკო.

ბაბილონის უამრავი ქვეშევრდომი ტყვედ წაუყვანიათ ზანებსა. ასე დაწყებულა ხეთთა ისტორია. ანატოლიის მთიანეთში დაუსახლებია ვითა ფარი ზანთა მიწისა. ტყვეთა ოდენობა დიდი ყოფილა.

გაუძლია ტყვესა. ორასი წლის მერე მისივე ხელსა ყოფილა ანატოლიის სამხრეთი მთიანეთი ვიდრე ზღვამდე.

ქრისტემდე (900) წლით ადრე, ზანები შებმიან აღმოსავლეთის ბარბაროსებსა დაუკარგიათ სამხრეთი ანატოლია. წინა აზია ხელთ უგდიათ ბარბაროსებსა. წაუღიათ ანატოლიის სამხრეთი და დიდი ნაწილი კილიკიისა.

დიდი ანატოლიის ზეგანის დასავლეთი ხელსა ჰქონიათ ზანებსა.

ბევრი ახალი დასახლება: სოფლები, დაბები და ქალაქები შეუქმნიათ ბაბილონიდან მოსულ ტყვეთა შთამომავლებსა. სახელი ხეთა ჰქონია მთიანეთსა. ქარაგმა: მთა სიცოცხლისა.

ხეთთა მთავარი ქალაქი ხათუსა ყოფილა.

თურმე გალავანი იცავდა ქალაქსა. კარი აკავშირებდა გარე სამყაროსა.

- ქალაქის გალავანს მეციხოვნენი იცავდნენ.

- გალავნის კარები საღამოს იკეტებოდა.

- დილამდე კარების გახსნა იკრძალებოდა.

- ქალაქის მართვა საბჭოს ევალებოდა.

- (615) წელი გაუძლია ხეთთა სამეფოსა.

- ქრისტემდამდე 1800 წლით ადრე, ხათუსას საბჭოს ქალაქის თავად კუსარი აურჩევია.

- ხეთთა ქალაქები ერთმანეთისგან დამოუკიდებლად იმართებოდა.

- ვაჭრობა გალავნის გარეთ ყოფილა

- ყველა ქალაქს გარშემო თავისი სოფლები ჰქონია.

- სოფლებს ქალაქის გამოკვება ევალებოდა. ქალაქს მათი დაცვა ეკისრებოდა.

ქრისტემდე (1800) წლით ადრე ბარბაროსებმა დაარბიეს ხეთთა მთიანეთი.

- ხეთა შიმშილმა მოიცვა.

- ისარგებლა კუსარმა და დაიკავა სხვა დიდი ქალაქების დარბეული სოფლები.

- სხვა ქალაქები საკვების გარეშე დარჩა. შიმშილმა თანდათან დაასუსტა ისინი.

- კუსარმა შეძლო ხეთას დასუსტებული ქალაქების დამმორჩილება.

- ახალ ტერიტორიას ხათუსას მსგავსი სახელი ხეთა უწოდა. თა ხეთთა ენას ხე სიცოცხლისა. ასე დაწყებულა ხეთთა სამეფოს ისტორია ანატოლიის სამხრეთ მთიანეთსა..

- მერე კუსარმა დაიწყო ხეთთა მთიანეთის გაერთიანება.

- ხეთთა ენას სამეფოს ხათი რქმევია. ქარაგმა თათი ზეციური ხარისა, ლომისა. იბერიელები ხეთას სახელით მოიხსენიებდნენ.

- ეგვიპტელთა ფარაონმა რამზეს II-ემ შეძლო ხეთას დამარცხება.

- ეგვიპტელებმა აოხრეს ხეთა.

- ხეთებმა ტყვეობას გაცლა არჩიეს. ჩუმად აყრილან, მისულან ზანთა მიწასა. ძველი იბერია ზანთა და ხეთთა ნაზავი ყოფილა.

ორასი წლის განმავლობაში ხეთები იქცნენ ვითა ნაწილი ზანთა კულტურისა. მათივე დამწერლობა შერწყმია ზანურსა.

მანამდე:



ექვსასი წლის განმავლობაში ხეთა გაზრდილა. ქვეულა ვითა ძირი ხეთთა ცივილიზაციისა.  
 ექვსასი წელი ხეთა ტოლს არ უდებდა ეგვიპტელ ფარაონთა დინასტიას.  
 ხეთა ბევრად წინ წასულა ვიდრე ეგვიპტე. შედარება მათივე კულტურისა:  
 ხეთას მეფე მართავდა, ეგვიპტეს ფარაონი.  
 ფარაონთა დინასტია კლასიკური ტირანია იყო. საუკუნეების განმავლობაში ტირანი ფარაონები  
 მართავდნენ ეგვიპტეს. ეგვიპტელთა ფარაონი შეუცვლელი ყოფილა.  
 ხეთებმა შეძლეს მეფეთა დინასტიების შეცვლა.  
 ხეთებმა დააფასეს განათლება. იმ დროისათვის საუკეთესო სამართალი შეუქმნიათ.  
 ხეთების სამართალი ბევრად წინ წასულა ვიდრე ეგვიპტისა.  
 ეგვიპტელთა სამართალს ფარაონი განაგებდა. ეგვიპტელთა განაჩენი დაფარული ყოფილა.  
 ხეთთა სამსჯავრო ღია. ხეთები განაჩენს საჯაროდ აცხადებდნენ.  
 თურმე ხეთას ქვეშევრდომის დაცვას სამართალი ავალებდა.  
 ეგვიპტელთა სამართალი ფარაონს ქვეშევრდომის დაცვას ვერ აკისრებდა. ქვეშევრდომთა დაცვა,  
 ფარაონის კეთილი ნება ყოფილა.  
 ხეთების ცივილიზაცია ბევრად წინ წასულა ვიდრე ეგვიპტისა.  
**ჯ ა რ**-იგივე ჯარი იბერთა ენას. ჯარ იგივე შეკრება მცნებათა. ძველი წელთაღრიცხვის (4)ე ათასწლე-  
 ულის ბოლოს, ქრისტემდე (1600) წლით ადრე, დაწყებულა ძველი აღქმის, იგივე ჩვენი ბიბლიის  
 წერა.  
 ჯარ იგივე ჩვენი, იბერთა ისტორიაა. ჯარ იბერიული კაბალით ძე ღვთისას ამქვეყნიური სიცოცხ-  
 ლის დასასრული. ჯარ იგივე ჯვარცმა მაცხოვრისა. დასასრული ქრისტეს ვითა კაცის ძის ამქვე-  
 ყნიური სიცოცხლისა.  
 ჯარ დიდი კრება იბერთა ენასა. ჯარ ქრისტეს მეორედ მოსვლის თარიღი დედამიწაზე. ჯარ= $(39+1+22)=62$ . რიგ. 39(12,3). დაყოფა:  $4(39+1)$  და  $4(22)$ . იბერიელთა კალენდარით ძე ღვთისას დედამიწაზე  
 მეორედ მოსვლის თარიღი დასაბამიდან 8881 წელი. ქართული ქარაგმით (8837). სხვაობა ასომთავ-  
 რულსა და ქართულ კალენდარს შორის (44)წ.  
 წარმართი იბერიელები სიტყვა ჯარ-ს რაიმეს კეთილად დასრულების სინონიმად იყენებდნენ.  
 კარგად დასრულებული საქმე ჯარი ყოფილა.  
 ჯარ ბრძენის სინონიმი ზანთა ენასა. სიბრძნე ძიების დასასრული, იგივე სიკვდილი. ბრძენი სიკვდი-  
 ლამდე სიბრძნის ძიებაშია.  
 ჯარ ქართულში მხედრობის სინონიმი. იბერთა ენიდან გადმოსულა ქართულსა.  
 ჯარ დიდი წრის დასაწყისი და დასასრული.  
 ჩვენს ერამდე (418) წლით ადრე იბერიელებმა დაკარგეს აღმოსავლეთი, იგივე პართია.  
 ბერძნებმა დაიპყრეს დასავლეთი ანატოლია.  
 იბერიული კალენდარით ძველი წელთაღრიცხვის (487), ბერძნულის (539)წ დაცემა ბაბილონისა.  
 იბერიელთა კალენდარით ძველი წელთაღრიცხვის (51) წელს ბერძნებმა დაიპყრეს კილიკია.  
 იბერიელთა კალენდარით ძველი წელთაღრიცხვის (417) წელს დაიბადა ელინი სწავლული სოკრა-  
 ტე.  
**ჰ ა ნ** - ზანთა ენას ლომს ნიშნავს. იბერთა ენას ჰან იგივე ზედა კარი. ჰე ქვედა კარი.  
 ჰანიბალ ბარკა ბაბილონელთა ენას, იგივე მძვინვარე ლომია.  
 ჰან-იგივე სფინქსია ეგვიპტელთა ენას.  
 ჰან იგივე ჰაოსია იბერიელთა ენას.  
 ზანთა ენას იგივე ევა. განხეთქილების ვაშლი. ადამის დასჯა. აღქმა სიშიშვლისა, იგივე ადამის პირ-  
 ველი ცოდვა. ადამის ძეთა ბოროტების დასაწყისი.  
 ჰან ქართლოსის სამარეა ზანთა ენას. ძველ კასპიას მარხია ზანთა პირველი წინაპარი ქართლოსი.

**ჰუნ-**ზანთა ენას ნიშნავს ცხენით ჯირითსა.იბერიელთა ენას ნიშნავს ბედაურს.ბედაური იგივე ჭაკი ცხენი.ჭაკი ცხენი რბოლის დროს არ ყოვნდება.შეუძლია სირბილის დროს შარდი დაღვაროს. ბრძოლის დროს უპირატესობას ჭაკს ანიჭებდნენ.ჰუნ ძველ იბერიელთა ენას ნაგაზის,დიდი ჯიშისანი ძაღლის სინონიმიანაგაზი იბერიელთა ენას ნიშნავს სახლის დარაჯს.ძველი იბერიელები ჯიშისანი ძაღლის გამოცდას დიდ მანძილზე რბოლაში ჩაბმით ახერხებდნენ.ძაღლი რბოლას გამოიცდებოდა.თუ ძაღლი დაიღლებოდა,უვარგისად ჩაითვლებოდა.ძაღლის პატრონს მისი გაყიდვა ეკრძალებოდა.

კარგი ნაგაზი იბერიელთა სახლის საიმედო დარაჯი ყოფილა.

**ჰუნ** ზანთა ენას ლაბა ხარის სინონიმი ყოფილა.ჰუნ ეგვიპტელთა ენას ზორბა ზაქის სინონიმი.ჰუნ ნიშნავდა თაკარას,იგივე დიდი ქვების გროვას.წარმართების რწმენით ქვას დიდი სიწმინდე ჰქონია.სალოცავი ადგილი ქვების დიდი გროვა.წარმართები თავიანთ ღმერთებს იქ სწირავდნენ მსხვერპლსა.ასეთი დიდი ქვების გროვა დარჩენილა ქართლში. კავთისხევს ორი დიდი ქვის გროვა ყოფილა.ასეთივე დიდი ქვის გროვები ბევრია ძველ მესხეთში.ძველი მესხები წარმართულ ლოდებს,ქვა კაცების სახელით იცნობდნენ.ასეთ ქვებს ჰუნ რწმევია იბერიელთა ენას.

წარმართი იბერიელების რწმენით,თუ დიდ ქვას კაცის ფორმას მისცემდნენ,მათი მფარველი გახდებოდა.იბერიელი დიდებულები ქვებს მათივე წინაპრის სახეს აძლევდნენ.

ჰუნს ბერძენთა ენას დიდ ფრინველს,იგივე არწივსაც ნიშნავდა.კიდევ ზღაპრული ფრინველის ფასკუნჯის აღსანიშნავად გამოიყენებოდა.

ჰუნს წარმართი იბერიელები დიდი კლდის აღსანიშნავად იყენებდნენ.ჰუნ ხეთების ნადირთა მეფე,ლომი ყოფილა.ჰუნის სინონიმი იბერიელთა ენას დიდი კაცი,გარეული,იგივე ტყის კაცი. ეგვიპტელები ჰუნს,დიდ გველს,იგივე კაციჭამია გველის აღსანიშნავად იყენებდნენ.

**ტირ-**იბერიელთა ენას ნიშნავს ორ წრეს,იგივე ორი ბრუნი,წრის ორჯერ გავლა. იბერიელების რბოლა ორი დიდი წრე,იგივე წრის ორჯერ გავლა ყოფილა.

იბერიელების რბოლა ძველი ბერძნების რბოლის,იგივე მარათონის ანალოგი.

ქრისტემდე ორიათასი წლით ადრე დაიწყო ზანთა ისტორია.ქრისტემდე ორი ათასი წლის წინ ზანთა დაიკავეს ანატოლია.

ზანთა ქრისტემდე (1800) წლით ადრე დაიკავეს კავკასიის ზეგანი.ქრისტემდე 1300 წლით ადრე ხეთები პირველად გამოჩნდნენ კავკასიაში.

ქრისტემდე ათასი წლით ადრე,ხეთებმა პირველად აღმართეს წარმართული კერპი,იგივე არმაზი.

ქრისტემდე (689) წელს იბერიელებმა შექმნეს თავიანთი ნიშანი.

ქრისტემდე (486) წლით ადრე იბერიელმა ქურუმებმა შექმნეს ქურუმთა საიდუმლო ნიშანი, ნუსხური.

ქრისტემდე (437) წლით ადრე იბერიელებმა შექმნეს წარმართული იბერიული კალენდარი.

ქრისტემდე (855) წლით დაარსებულა იბერიელთა პირველი სატახტო ქალაქი ხისი.

კაბადოკია ძველი იბერიის ნაწილია.

ქრისტემდე (1000) წლით ადრე ხეთებმა დაიკავეს კასპია.(დღევანდელი სამხრეთი საქართველო და სომხეთის ზეგანი)

ქრისტემდე (775) წელს დაიბადა რომაელთა იბერიელი სარდალი, ბაკურ დიდი.

ქრისტემდე სამასი წლით ადრე დაიბადა მეფე ფარნავაზი.

ქრისტემდე (700) წლით ადრე იბერიელებმა დაიკავეს ძველი(ბაკურ დიდის დროს) კოლხა.

ქრისტემდე (400) წლით ადრე ბერძნებმა დაიკავეს ანატოლიის სამხრეთი.

ქრისტემდე ორასი წლით ადრე ბერძნებმა დაიკავეს აღმოსავლეთი იბერია.

ქრისტემდე (600) წლით ადრე იბერიის ზეგანზე გამოჩენილან ინდო-ევროპელი ბარბაროსები.

ქრისტემდე ექვსასი წლით ადრე ნაბუქოდონოსორს წაუღია იერუსალიმი.

## 108. აშშავი ბასილი ასკანელისა

თურმე ზაქმა იპოვა ხელნაწერების სამალავი თაბორის მთასა. მანამდე წმინდა მამა სერაპიონსა მოუყოლია აშშავი დიდი იბერიელი ბერისა, იგივე მამა პეტრე მურვანოსისა.

ცოდნია ზარზმელსა აშავი დიდი იბერიელისა. თურმე უთქვია: მართლმადიდებელთა ტაძრის დიდი სვეტიანო. პირველად იბერმა, ვითა დიდმა სწავლულმა დაამტკიცა ქრისტეს ორი ბუნების სწავლება. მანამდე წმინდა მამათა არ ჰქონიათ საბუთი, მონოფიზიტთა სწავლებას ვერ უმკლავდებოდნენო.

თურმე განკვეთილი იბერიელთა ბერი მისულა კონსტანტინოპოლსა. მანამდე გამართულ საეკლესიო კრებათაგან, თავისი საზომით უპირველესი კრება გამართულა. დაუდგიათ სასწორი მონოფიზიტთა და დიოფიზიტთა სწავლებისა.

ცოდნიათ ბერძენთა, ასირიელ მონოფიზიტთა სკოლას ბევრად გამოჩენილი მოძღვარნი ჰყავთო. ეგონათ დიდი იბერიელი სწავლული მათი ფარული მიმდევარიაო.

ცოდნია კონსტანტინოპოლის პატრიარქსა, მონოფიზიტთა დაძლევა გაძნელდებაო.

მანამდე პეტრე იბერი მიუწვევია ბერძენთა კეისარსა. ვითა მრჩეველი აღმოსავლეთისა. მცოდნე ძველი რომის ისტორიისა. თაბორის ზიქურათის ხელშეუხებლობა მოუთხოვია პეტრე იბერსა. ვითა ფარული მიმდევარნი მონოფიზიტთა მოძღვრებისა, დაუთმია კონსტანტინოპოლის პატრიარქსა.

თურმე იბერის მიწვევა კეისარის კარსა, მათივე მოძღვრების ირიბ აღიარებად ჩაუთვლიათ მონოფიზიტთა.

ცოდნია იბერსა შიში ბერძენთა პატრიარქისა, შიში მონოფიზიტთა მოძღვრების გაზიარებისა. სახელი იბერისა. ფასი იბერიელთა მოძღვარისა. ვითა ბერძენთა ეკლესიის მწყემსმთავარსა, მოუწოდებია განდევნა მონოფიზიტთა ეპისკოპოსისა. თურმე არწმუნებდა კეისარსა: მწვალებელთა მიმდევარი მათივე ინტერესების დაცვას ეცდებო. იბერიელი ბერძენთა კეისარის კარსა, მონოფიზიტთა აგულიანებსო. მათივე მიმდევართა რიცხვი იზრდებაო.

თურმე თავიდან კეისარი არაფრად აგდებდა ბერძენთა პატრიარქის მოწოდებასა.

ნაყოფი გამოუღია პატრიარქის მცდელობასა. გაზრდილა მომდურავი კეისარისა. თურმე ბერძენთა ეკლესიას თავისი ფარული ხელი გაურევია ხალხის წყრომასა.

უთქვია კეისარსა: პეტრე იბერის რჩევის ფასი დიდია. თვითონვე მოვიწვიე სასახლის კარსა. ბევრი რჩევა მოვისმინე იბერიელისა. შენივე რჩევით ბევრი საკითხი მოგვარდა. ვიცი დასჭირდება იბერიელის რჩევა კეისარსაო.

კონსტანტინოპოლი მღელვარებამ მოიცვაო, ვიცი ეკლესიამ ხელი მიაშველაო.

თურმე უთქვია იბერსა: აქამდე ვიცოდი. ბერძენთა პატრიარქი ვერ გაუმკლავდა არიოზის მოძღვრებათა დოგმებსა, თავის სისუსტეს ჩემი ეპისკოპოსობით ამართლებსო. იცის კეისარმა საეკლესიო წყობის რჩევა არ მიმცია. ბოლომდე ვერიდებოდი ჩარევასა. ვითა მონოფიზიტთა ეპისკოპოსი თავს ვიკავებდი. ჩემი მოსაზრება არ გამიმხელია. თუ კეისარი ინებებს გავანდობ ჩემივე ნაფიქრალსაო.

უთქვია კეისარსა: მოვისმენო.

მადლობა უთქვია იბერსა, მოვახსენებ კეისარსა აზრსა იბერიელისაო.

ვურჩევ კეისარსა, იბერიელი ვითა მონოფიზიტი მრჩეველი პირობით დაითხოვოსო. ბერძენთა პატრიარქის სურვილი ასრულდება. პირობა კეისარისა: მოწვევა საეკლესიო კრებისა, არიოზის მიმდევართა დამარცხება მოითხოვოსო. თუ ვერ გაუმკლავდება პატრიარქი, არიოზის მოძღვრება აღიაროსო. ვითა მონოფიზიტი მივალ კრებასა. ვეცდები არ ჩავერთო პაექრობასაო.

თუ პატრიარქმა სძლია არიოზის მიმდევართა, კეისარმა სხვა მრჩეველი მოძებნოსო. თუ დაიდლება პატრიარქი, ვითა მრჩეველი კეისარისა დავბრუნდე სასახლესაო. (531)

ერთი წლის მერე გამართულა დიდი პაექრობა, დაუდგიათ სასწორი მონოფიზიტთა და დიოფიზიტთა მოძღვრებისა. ცოდნია კეისარსა: იბერი მოერიდება პაექრობასაო.

დაუცვია პირობა, არ ჩარეულა იბერიელი. ბერძენთა პატრიარქი ადვილად დაუძლევიათ ასირიელთა.

მისულა კაცი პატრიარქისა გაკვირვებული. იბერთა მოძღვარმა არ დაიცვა არიოზის სწავლებათ.

უთქვია იბერსა: დაცვა ბერძენთა სწავლულებს წაადგებოდაო.

მინიშნება წაუკითხია კაცსა: იქნება ნება კეისარისა, თანხმობა პატრიარქისა, დავიცავ დიოფიზიტთა მოძღვრებასაო. მისვლია საბუთი კეისარისა, სიგელი მაიუმის ეპისკოპოსად კურთხევისა.

ცოდნია პეტრე იბერსა, მისივე მოძღვრებას არ მიიღებდა ბერძენთა ეკლესია. ხერხი უხმარია: ვითა მოძღვრება ძველი ბერძენი სწავლულისა, სწავლება დიდ მოწამისა, დიონისე არიოპაგელისა. ნაპოვნო ასირიელი ბერის ქვაბსა. ვითა გადაწერილი დაყუდებული ბერისა.

უთქვია: ვთარგმნე მოძღვრება ბერძენი დიდმოწამის სწავლებისა. მოძღვრება დაამარცხებს მონოფიზიტთა სწავლებასაო.

მართლა დაუმარცხებია არიოზის მიმდევარნიო უთქვია ზარზმელსა: მონოფიზიტთა სწავლებანი მწვალებლობად ჩათვლილა. დაუმარცხებია დიდი იბერიელის ხელსა. წმინდა მიწას ყოფილა დიდი იბერიელის ხელნაწერთა სამალავიო.

სამალავის მცოდნენი დაუხოცია არაბთა მტარვალსა. კვალი დაკარგულა. მოუძებნიათ იბერიელთა წმინდა მამებსა, ვერ მიუგნიათო. ვევედრები უფალსა მიგნების პატივი გარგუნოსო. ეცადე მისი სახელი დაიცვაო.

დიდი დრო გასულა. უფლის ნებით დიდი იბერის სამალავი მიუგნია ზაქსა. უპოვია ხელნაწერები დიდი იბერიელი სწავლულისა. ეფრემ მცირეს სახელით უთარგმნია მოძღვრება ვითა ფსევდო დიონისე არიოპაგელისა.

ამბავი ასე მოუყოლია ზარზმელსა, მამა იოვანე დაბელის მოძღვარსა.

არ ცოდნია მამა სერაპიონსა, არცა მისივე მოძღვარსა, ხელი ფსევდო კესარიელისა. თურმე პროკოფი კესარიელის სახელით უღვაწია იბერსა,

მოუხერხებია ზაქსა. ქართულ ეკლესიას განუზრახავს იბერის ცნობა ვითა წმინდანისა. სახელი ბასილი დიდი დაურქმევია მამა იოვანეს. ვითა სახელი ბასილი კესარიელისა. დაუცვია სახელი პეტრე იბერისა, ვითა ფსევდო კესარიელისა.

დაუცვია სახელი რუსთველსა. ბასილეთი დაურქმევია სახელი პატარა სოფლისა, ვითა სახელი პატარა იბერიელისა.

მოუტანია ამბავი რუსთველსა.

## 109. ამბავი იბულებითი ხელდასხმისა

თურმე არიოზის მიმდევარნი დასხმიან იბერიელთა ბერსა. მანამდე უცდიათ მიმხრობა პეტრე იბერისა. მოუთხოვიათ კურთხევა ვითა მათივე ეპისკოპოსისა.

ორი იმპერიის ქიშპობას მალევე გაუზრდია გავლენა მონოფიზიტთა. ფარულად დიდი საფასური გადაუხდია ორივე ეკლესიასა. თურმე ორივეს ეგონა მონოფიზიტთა მიმდევარნი ფარული ხელი იქნება. ვითა ხაფანგი დიდი ბრძოლისაო.

დიდძალი ქონება დაგროვებია მონოფიზიტთა ეკლესიასა. მოუხერხებიათ, თვითონვე დაუგიათ ხაფანგი მოქიშპეთა წინააღმდეგ. თურმე ლათინთა ხარჯით ახერხებდნენ ბერძენთა მოსყიდვასა, ბერძენთა ძღვენით ქრთამავდნენ ლათინთა ეკლესიის მსახურთა.

თურმე წმინდა მიწას მონოფიზიტთა ძალა აღმატებოდა ორივე ეკლესიის გავლენასა.

მეფე ვახტანგის სიკვდილის მერე იბერთა ეკლესია დასუსტებულა.

თურმე მონოფიზიტნი არ ერიდებოდნენ დიდძალი ხარჯის გაღებასა, ვინც შეძლებდა პეტრე იბერის მიმხრობასა.

ცოდნიათ მონოფიზიტთა ეკლესიის მესვეურთა: იბერის მიმხრობა ძლევამოსილად აქცევდა მათივე ეკლესიასა.

თურმე თავიდან ბერძენთა ეკლესია იცავდა იბერიელ ბერებსა, ვითა მათივე ეკლესიის მსახურთა.

ბერძენთა პატრიარქი ფიქრობდა ორივე ეკლესიის გაერთიანებასა. იბერთა მიწა წაუღიათ ბერძენთა, ეკლესია ჩვენი მფარველობის ქვეშ მოექცესო, იბერთა ეკლესია-მონასტრები ვითა ბერძნული ეკლესიის საკურთხევა გამოცხადდესო.

განზრახვა ცოდნიათ მონოფიზიტთა, თურმე ერიდებოდნენ ღია თავდასხმასა.

მერე ბერძენთა ეკლესიას იბერი განუკვეთია, ვითა ფარული მიმდევარი არიოზის მოძღვრებისა. იბერის მიმდევარნი არიოზის მიმდევრად მიუჩნევიან.

გაუგიათ მონოფიზიტთა, გაუბედიანთ მუქარა, ვითა ხერხი პეტრე იბერის მიმხრობისა.

ბევრი ვერაგული ხაფანგი დაუგიათ. თავხედობა იქამდე მისულა, პეტრე იბერი გაუტაციათ. მონოფიზიტთა ეპისკოპოსად დაუდგენიათ. მიუციათ პირობა იბერთა ზიქურათის ხელშეუხებლობისა.

მონოფიზიტთა გავლენით მოუხერხებიათ იბერთა დაარსება ფაზისის რიტორიკული სკოლისა.

პეტრე იბერის სახელი ბევრად გაზრდილა ვითა მონოფიზიტი ეპისკოპოსისა.

გაზრდილა გავლენა მონოფიზიტთა ეკლესიისა. თურმე მათივე გულის მოსაგებად იუსტინეს პეტრე იბერისთვის პატრიკოსის სახელო უბოძებია. მოუსურვებია მრჩევლობა ვითა აღმოსავლეთისა და ძველი რომის ისტორიის უბადლო მცოდნისა.

კეისარი იუსტინე მალევე მომკვდარა. ცოდნია იუსტინიანეს სახელი პეტრე იბერისა. წოდება და სახელო გადარჩენილა იბერისა.

ხუთი წელი დარჩენილა იბერი კეისრის კარსა. მერე დიდი მღელვარება დაწყებულა. იუსტინიანეს პატრიარქის ხელი დაუნახია. ეკლესიას მონოფიზიტთა მიმდევარის გამეგება მოუთხოვია.

მერე იუსტინიანეს პატრიარქისთვის მონოფიზიტთა მოძღვრების დამარცხება მოუთხოვია.

ვერაგი გეგმა ჰქონია ბერძენთა კეისარსა. თუ პატრიარქი შეძლებდა დამარცხებას არიოზის მიმდევრებისა, მათი მოძღვრება მწვალებლობად ჩაითვლებოდა. მონოფიზიტთა ქონება იუსტინიანეს ჩაუვარდებოდა ხელსა. თუ პატრიარქი ვერ გაუმკლავდებოდა მონოფიზიტთა, მისი გავლენა დაემხო-ბოდა. ორივე გზა ხელს აძლევდა ბერძენთა ბასილევსსა.

(532) წელს გამართულა დიდი საეკლესიო კრება კონსტანტინოპოლსა.

ფსევდო დიონისე არიოპაგელის მოძღვრებას გადაურჩენია დიოფიზიტური სწავლების მიმდევარნი. არიოზის სწავლება მწვალებლობად ჩაუთვლიათ. მწვალებელთა ქონება წაუღია ბასილევსსა.

მერე ათი წელი დარჩენილა პეტრე იბერი ვითა პატრიკოსი და ვითა მრჩეველი კეისრისა.

მისივე გეგმით აუგიათ დიდებული ტაძარი კონსტანტინოპოლისა. ვითა ნიშანი იუსტინიანეს ძლე-  
ვამოსილებისა.

მასვე მოუხერხებია მეორედ აგება ჯვრის მონასტერისა.

თურმე დედოფალი თეოდორა მალავდა იბერის სიძულვილსა. თურმე მისი გეგმა ითხოვდა ბევ-  
რად მცირე ტაძრის აგებასა. იმპერატორმა იბერის გეგმას დაუჭირა მხარით. თურმე მისი ხალხი არ  
ერიდებოდა ხელის შეშლასა.

არავის სჯეროდა იბერის გეგმისა. ბევრი განსაცდელი გამოუვლიათ ოსტატთა,

თურმე ვერ ითმენდა იუსტინიანე, ითხოვდა დიდებული ტაძრის დასრულებასა.

ეჭვობდა ბნელეთის მცველი, თეოდორა: იბერის ხრიკი იქნება ტაძრის ზომებსაო.

მართლა დაუმალა კვალი იბერთა ზიქურათისა. ტაძრის ზომებსა იკითხება ხელი იბერთა მოძღვა-  
რისა.

## 110.ამბავი ანისის სამებისა

პაპა ხუთი წლის შემდეგ დაბრუნებულა პატარა მეფის სამეფოსა. ცოდნია მეფესა დაბრუნება მამისა. შეუთვლია: მოდი ქუთაისსაო. მანამდე უზრუნია კურთხევა მამისა, ვითა ეპისკოპოსისა ზედა აჭარისა და ხლათის შემოგარენისა.

ვიდრე პაპა დაბრუნდებოდა, ხლათის შემოგარენის, ვითა ახალი საეპისკოპოსოს დადგენა სდომებია მეფესა. მოუსწრია დადგენა ხლათის პირველი ეპისკოპოსისა. თვითონვე შეურჩევია მისივე ნათესავი, ნუკელი ზაქარია ბოლო ეპისკოპოსი ხანძთისა და პარეხისა.

სამი წელი დარჩენილა მამა ზაქარია ვითა ეპისკოპოსი ხლათისა. ვიდრე პაპა დაბრუნდებოდა დარჩენილა მწყემსმთავარი ხანძთისა და ხლათისა.

